

ନାନ୍ କବିତା

ପ୍ରକାଶକ ପରିବାର  
ପ୍ରକାଶକ ପରିବାର

41263

2



ପ୍ରକାଶକ ପରିବାର

ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମାତ୍ର




KII.263-65  
2

# ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମାତ୍ର



ଶାସନାଲୋକନା „ବେଳନବେଳା“

ଟପିଲ୍ଲିଟର 1972



4(MOP)

88 — 2

572



თარგმანი თავათ % და ღთარ პილარებისა

8 — 1 — 4

72 აღგ.



საქართველოს თეატრალური საზოგადოებრივი



માર્ગાંગ તોનોં

ანტიგონე.  
კრეონტი.  
ჰემონი.  
ისმენე.  
ევრიდიკე.  
ძიძა.  
კრეონტის მსახური.  
ჩაფრები.  
მაცნე.  
ქორო.



ჩვეულებრივი დეკორაცია. სამი ერთნაირი კარი. ფარდის ახდისას ყველა მოქმედი პირი სცენაზეა. ისინი საუბრობენ, თამაშობენ ბანქოს. მათ გამოეყოფათ პროლოგი და წინ გამოვა.


პროლოგი. რას იზამ, უნდა დავიწყოთ! ესენი ახლა თქვენ წინ ანტიგონეს ტრაგედიას გაითამაშებენ. ანტიგონე ის პატარა, გამხდარი გოგოა, აი, აქ რომ ზის, ერთ წერტილს რომ მისჩერებია, ხმას რომ არ იღებს. ის ფიქრობს. ის იმაზე ფიქრობს, რომ ახლა ანტიგონედ იქცა, რომ გამხდარი, შავგვრემანი და გულჩათხრობილი გოგონა, რომელსაც ოჯახშიც კი არავინ უყურებს სერიოზულად, უცებ გმირი გახდება და მარტო გამოვა მთელი ქვეყნის წინააღმდეგ, ბიძამისის, მეფე კრეონტის წინააღმდეგ. ის იმაზედაც ფიქრობს, რომ უნდა მოკვდეს, თუმცა ახალგაზრდაა და ძალიან უნდა სიცოცხლე. მაგრამ არაფერი აღარ უშველის, მას ანტიგონე ჰქვია და ვალდებულია ბოლომდე ითამაშოს თავისი როლი. ფარდის ახდისთანავე ის გრძნობს, რა თავბრუდამხვევი სისწრაფით შორდე-

ბა თავის დას ისმენეს, ყმაწვილ კაცთან რომ ლაზლანდარობს. ჩვენც გვშორდება, ყველა ჩვენთაგანს, მშვიდად რომ ვუთვალთვალებთ — ჩვენ ხომ ამ საღამოს არ უნდა მოვკვდეთ? სარიცხული

ყმაწვილი, რომელიც მშვენიერ ისმენეს ქსაუბრება ჰქონია, კრეონტის შვილი. ის თუმცა ანტიგონეს საქმროა, მაგრამ ცეკვა-თამაშის სიყვარული, სურვილი ბედნიერებისა და მგრძნობიარე გული მაინც ისმენესენ ეწევა. ისმენე ანტიგონეზე გაცილებით ლამაზია. სამეჯლისო საღამოზე პემონი მხოლოდ ისმენესთან ცეკვავდა, რომელიც დამაბრმავებლად ლამაზი იყო და ძალიან უხდებოდა ახალი კაბა. მიუხედავად ამისა, პემონმა მაინც მოძებნა კუთხეში მობუზული ანტიგონე, მაშინაც ასე რომ იჯდა, მუხლებზე ხელებ-შემოხვეული, და სთხოვა, ცოლად წამომყევიო. რატომ? ეს არავინ იცის და ვერც გაიგებს. ანტიგონეს კი არ გაპკვირვებია. შეხედა პემონს თავისი ფიქრიანი თვალებით და... ძლიეს შესამჩნევი ნაღვ-ლიანი ღიმილით დაუთანხმა. ორკესტრი ახალ საცეკვაოს იწყებდა. ლამაზი ყმაწვილებით გარშემორტყმული ისმენე ხმამაღლა იცინოდა. პემონი კი მალე ანტიგონეს ქმარი უნდა გამხდარიყო. მან არ იცოდა, რომ ეს სამეფო ტიტული მას მხოლოდ სიკვდილის უფლებას ანიჭებდა.

ძლიერი, ჭაღარა კაცი, რაღაცაზე რომ ჩაფიქრებულა, გვერდით პატარა მსახური რომ ამისდგომია — კრეონტია. მეფე! სახე-დანაოჭებული და დაღლილი. მას მხრებზე მძიმე მოვალეობა აწევს, ხალხის მმართველობა. ადრე, ოიდიპოსის დროს, როცა ის მხოლოდ პირველი კარისკაცი იყო, უყვარდა მუსიკა, ლამაზყდიანი წიგნები და თებეს ანტიგვარულ მაღაზიებში ყიალი. მაგრამ ოიდიპოსიც და მისი ვაჟებიც დაიხოცნენ. კრეონტმა თავი გაანება ლამაზყდიან წიგნებს, მკლავები დაიკაპირა და საქმეს შეუდგა.

ზოგჯერ, საღამოობით დაღლილობა დაეუფლება ხოლმე და თავს ეკითხება: ღირს კი ხალხის მმართველობა? იქნებ ჯობია, სხვებს



ავეიდო ეს ბინძური ტვირთი, სხვებს, რომლებსაც ჩემზე მეტად  
შეუძლიათ ყველაფერი იყისრონ. მაგრამ დილით ისევ ახალი, ხას-  
წრაფოდ გადასაწყვეტი საკითხები იბადება და ამიტომაც იგი ყო-  
ველ ალიონს მუშასავით მშვიდად ეგებება.

ხნიერი ქალი, ისმენესა და ანტიგონეს ძიძის გვერდით რომ დგას  
და ქსოვს — ევრიდიკეა, კრეონტის მეუღლე. მთელი ტრაგედიის  
მანძილზე ის ასე ქსოვაში იქნება გართული, სანამ მისი სიკვდი-  
ლის ჯერიც არ მოვა. ის კეთილია, ღირსებით სავსე, უყვარს ქმარი,  
მაგრამ ძალა არ შესწევს მხარში ამოუდგეს მას. კრეონტი მარტოა,  
მასთან მხოლოდ მისი პატარა და უმწეო მსახურია.

ფერმერთალი ახალგაზრდა, სცენის სიღრმეში კედელს რომ მი-  
ყრდნობია — მაცნეა. ის ახლა გამოგვეცხადება და მოიტანს ჰემო-  
ნის სიკვდილის ამბავს. ამიტომ არჩია სწორედ დუმილი და გან-  
მარტოება. მან უკვე იცის...

ესენი კი, ბანქოს რომ თამაშობენ, ჩაფრებია. სამი სახელაუღა-  
შა, კეფაზე ქუდმოგდებული კაცი. ჩვენში რომ ვთქვათ, ბუნებით  
ცუდი ბიჭები არ არიან. ამათაც ჩვენსავით ცოლები ჰყავთ, შვი-  
ლებიც, თავიანთი წვრილმანი საზრუნავიც გააჩნიათ, მაგრამ საქმე  
საქმეზე რომ მიდგეს, თითოეულ ჩვენთაგანს ისე ჩამოაღრჩობენ,  
ხელი არ აუკანვალდებათ. მათ ნივრის, ტყავისა და ღვინის სუნი  
ასდით და ბევრი ფიქრით მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ. სამი-  
ვე მართლმსაჯულების მსახური გახლავთ, ყველაფერში მართალი  
და თვითკმაყოფილი. მათ არც კრეონტი ახატიათ გულზე. ისინი  
კრეონტს იქამდე ემსახურებიან, სანამ ახალი პატრონი მის დაპა-  
ტიმრებასაც არ უბრძანებს.

ახლა კი მართლა შეიძლება დავიწყოთ, ყველა გმირი თქვენ-  
თვის უკვე ნაცნობია. ტრაგედია იწყება იქიდან, როცა ოიდიპოსის  
შვილებმა ეთეოკლემ და პოლინიკემ ერთმანეთი დახოცეს ქალაქის

კედელთან. მათ რიგრიგობით უნდა ემეფათ თებეში, ოითოვეულ  
ერთი წლის ვადით, მაგრამ უფროსმა ძმამ ეთვობლებმ, როცა მისი  
მეფობის ვადა ამოიწურა, არ მოისურვა ძმისთვის ტახტი დაეთმო.  
შეიდივე უცხოელი მეფე, რომელთა გადმობირებაც პოლინიკემ მოა-  
ხერხა, თებეს შვიდ კარიბჭესთან განადგურდა. ქალაქი უკვე გადარ-  
ჩენილია. მოსისხლე ძმები დაიხოცნენ. კრეონტმა, ახალმა მეფემ,  
უფროსი ძმა ეთეოკლე პატივითა და დიდებით დააკრძალვინა, ხო-  
ლო მეამბოხე, მაწანწალა და უსაქმური პოლინიკეს დაუტირებელი  
ცხედარი ყვავებსა და ტურებს მიუგდო საჯიჯენელად. ყველა, ვინ  
კი გაბედავს მის დამარხვას, სიკვდილით დაისჯება.

სანამ პროლოგი ლაპარაკობს, მოქმედნი პირნი ერთმანეთის მიყოლუ-  
ბით გაღიან სცენიდან. პროლოგიც გადის.

სცენაზე განათება იცვლება. ფერმკრთალი, მკვდრისფერი განთიალ  
შემოდის მძინარე სახლში.


ანტიგონე შემოხსნის კარს და თითისწვერებზე შემოვა. ის ფეხშიშვე-  
ლია, სანდლები ხელში უჭირავს. ერთი წუთით შეჩერდება და რაღაცა  
უსმენს.

შემოდის ძიძა.

ძ ი ძ ა. სად იყავი?

ა ნ ტ ი გ . ო ნ ე. ვსეირნობდი, ძიძა. რა კარგი იყო, რომ იცოდე!  
უფერული ქვეყანა უცებ შეიცვალა. მერე ვარდისფე-  
რი, ყვითელი და მწვანე ისე აირია, როგორც ნახატ-  
ზე. ადრე უნდა ადგე, თუ გინდა, რომ უფერული  
ქვეყანა ნახო.

ძ ი ძ ა. მე რომ ავდექი, ჯერ კიდევ ბნელოდა. შემოვედი,  
საბანი ხომ არ გადაიხადა-მეთქი, ლოგინი კი ცარიე-  
ლი დამხვდა.



- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ბაღს ჯერ კიდევ ეძინა. რა იცოდა, თუ ვუყურებდი-  
რა ლამაზია, ძიძა, ბაღი, როცა ადამიანებზე პრ-  
ფიქრობს.
- ძ ი ძ ა. წახვედი, კარი კი ლია დატოვე...
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. დაცვარული მინდორი, ირგვლივ ყველაფერი რაღა-  
ცას ელოდა. მე მარტო მივდიოდი გზაზე, ჩემი  
ფეხის ხმა ყრუდ გაისმოდა სიჩუმეში, მე კი მრცხვე-  
ნოდა, რაღან ვიცოდი, ის არ ვიყავი, ვისაც უცდი-  
დნენ. მაშინვე სანდლები გავიხადე და ისე ფრთხი-  
ლად გადავირბინე მინდორი, ვერც კი შემამჩნია.
- ძ ი ძ ა. ისე არ დაწვე, ფეხი რომ არ დაიბანო.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე აღარ დავწვები.
- ძ ი ძ ა. რას პქვია არ დაწვები?! ოთხზე ადექი, ოთხიც არ  
იყო. ვიფიქრე, დავხედავ-მეთქი, საწოლი კი ცარიე-  
ლი დამხვდა, გაყინული.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ნუთუ ყოველთვის ასე კარგია, როცა შინიდან პირ-  
ელი გამოდიხარ? ყოველ დილით ასე ადრე უნდა-  
ავდგე.
- ძ ი ძ ა. ადრე? ადრე კი არა, ჯერ ღამე იყო, ბნელოდა შენ-  
გვინია დაგიჯერებ, რომ სასეირნოდ იყავი? ცრუ-  
პენტელავ? გირჩევნია სიმართლე მითხრა.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. პო, მართალი ხარ, ჯერ კიდევ ღამე იყო. მარტო მუ-  
მეგონა, უკვე გათენდა-მეთქი. დღეს პირველად ვნა-  
ხე გათენება, ძალიან კარგი იყო, ძიძავ.
- ძ ი ძ ა. შენი თავი მოატყუე. მეც ვყოფილვარ შენოდენა,  
მაგრამ არც შენსავით ჩუმჩუმელა ვიყავი და არც  
ჯიუტი. სად დაეთრეოდი?!
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე (სერიოზულად). არსადაც არ დავეთრეოდი.

ძიძა. პაემანზე იყავი? იქნებ იტყვი, არ კუთფილგარო?

ანტიგონე. ჰო, პაემანზე ვიყავი.

ძიძა. შენ რა, შეყვარებული გყავს?

ანტიგონე (პაუზის მერე, შეცვლილი ხმით). ჰო, ძიძა, მყავს. საცოდავი.

ძიძა (გაბრაზებული). კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა! ვაი, სირცხვილო! მეფის ქალიშვილი მაინც არ იყო! რისთვის ვიწვალე, რისთვის გზარდე. ყველა ერთნაირი ხართ, ერთი ძაფით შეკერილი. მაგრამ შენ ხომ სხვებს არ პატარდი, სარკე შენ არ გიყვარდა და სავარცხელი, არც ტუჩებს იღებავდი, არც ბიჭებისაკენ იხედებოდი. ვამბობდი, ღმერთო, რა ეშველება-მეთქი. ისმენეს შემშედავი ბიჭები ამას ცოლად როგორ წაიყვანენ, გაუთხოვარი დამრჩება-მეთქი, არადა შენც შენი დაიკოს განაჭერი ყოფილხარ, უარესიც — თვალთმაჭდი! ვინ არის მაინც ის ოხერი? ალბათ, ვიღაც ავარა იქნება, ლაწირაკი, ისიც ვერ გაუბედია, მოვიდეს, გვითხრას, მიყვარს და ცოლად გამატანეთო. ხომ ასეა? მიპასუხე, უგარგისო!

ანტიგონე (ღიმილით). ჰო, ძიძა.

ძიძა. რომ მეთანხმება კიდეც?! ღმერთო დიდებულო! თითისტოლა იყავი, შენი თავი რომ ჩამაბარეს. საცოდავ დედაშენს აღვუთქვი, წესიერ და პატიოსან გოგოს გაგიზრდი-მეთქი. და აი, როგორ არა! მობრძანდით, ნახეთ, დატკბით! ეს ასე არ ჩაგივლის. მართალია, მე მარტო ძიძა ვარ და გამოშტერებული დედაბერი გგონივარ, მაგრამ იცოდე, შენი ბიძა,



ბიძაშენი კრეონტი ყველაფერს გაიგებს, დამშვიდე  
ბული ბრძანდებოდე.

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე** (დაღლილი ხმით). პო, ძიძა, ბიძაჩემი ყველაფერს  
გაიგებს. თავი დამანებე.

**ძ ი ძ ა.** ვნახოთ რას იტყვის, შენს ამბავს რომ გაიგებს.  
პემონს რაღას ეუბნები, შენს საქმროს, შენ ხომ მისი  
დანიშნული ხარ. დანიშნული ქალი დილის ოთხ  
საათზე სხვასთან გარბის პატანზე. მერე კი პირზე  
ხელს მაფარებს, ხმა ჩაიკემინდეო. ხმა ჩავიკმინდო  
კი არა, ბავშვობისას რომ გირტყამდი, ისე უნდა  
მიგტყებო, საცა სამართალია.

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** ნუ მიყვირი ასე, ძიძა. დღეს ნუ გამიბრაზდები.

**ძ ი ძ ა.** ნუ გიყვირი?! ყვირილის უფლებაც არა მაქვს?! მე  
ხომ დედაშენს პირობა მივეცი?! რას მეტყოდა ახლა  
აქ რომ იყოს? სულელო ბებერო, დიახ, სულელო  
ბებერო, შენ ისიც კი ვერ შეძელი, ჩემი გოგო უმან-  
კოდ შეგენახაო, უყვიროდი კიდეც, კართან დაბმული  
ქოფაკივით უყეფდი, ბამბებშიც ახვევდი, არ გამი-  
ციგდესო, რძეს ძალით ასმევდი, ჯანმრთელი გაი-  
ზარდოსო, მაგრამ დილის ოთხ საათზე, სწორედ მა-  
შინ, როცა არ უნდა გეძინოს, მშვიდად გძინავს, შენ,  
სულელო ბებერო, და ისიც თავისუფლად მიიპარება,  
შენ კი გათოშილ საწოლს ყარაულობო — აი, რას  
მეტყვის დედაშენი, როცა იმქვეყნად შეგხვდები და  
მე სირცხვილისაგან მოვკვდები, თუ იმ წუთას ჯერ  
კიდევ ცოცხალი ვიქენი... ისღა დამრჩება, თავი ჩავ-  
ღუნო და ვუთხრა, მართალი ბრძანდები, იოკასტე,  
ჩემო ქალბატონო.

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** კარგი, გეყოფა, ნუ ტირი, ძიძა. შენ შეგიძლია დე-  
დაჩემს თვალებში თამამად შეხედო, როცა შეზუდუბი.  
დედა კი გეტყვის, მადლობელი ვპრ, მიძაბ, პატარა  
ანტიგონესთვის, კარგად მოგივლიაო. დედამ იცის,  
რისთვისაც ვიყავი წასული.

**ძ ი ძ ა.** მაშ, არა გყავს შეყვარებული?

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** არა, ძიძა.

**ძ ი ძ ა.** შენ რა, დამცინი? სირცხვილია, მე ხომ ბებერი ვარ!  
მე შენ ყოველთვის მიყვარდი, თუმცა თავიდან საძა-  
გელი ხასიათი გქონდა. შენი და გაცილებით დამ-  
ჯერი იყო, მაინც მეგონა, ამას უფრო გუყვარვარ-  
მეთქი, მაგრამ შენ რომ გიყვარდე, სიმართლეს მე-  
ტყოდი. რატომ დამხვდა შენი ლოგინი გაციებული?

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** ძიძა, გეხვეწები, ნუ ტირი. (ეხვევა.) გეყოფა, ჩემო  
პეთილო, ლოყებწითელა ვაშლო, გახსოვს, როგორ  
გიპრიალებდი ლოყებს, ჩემო ბებერო დამჭენარო  
ვაშლო. რომ იცოდე, რა ტყუილად ტირი, ყველა-  
ფერი ეს სისულელეა. მე სუფთა ვარ და არავინ მი-  
ყვარს ჩემი საქმრო პემონის გარდა. გეფიცები და  
თუ გინდა იმასაც შემოგფიცავ, რომ სხვას არავის  
არასოდეს არ შევიყვარებ. შეინახე შენი ცრემლები,  
შეინახე. შეიძლება კიდევ გამოგადგეს, ძიძავ, რო-  
ცა შენ ტირი, თავი ისევ პატარა მგონია, მე კი დღეს  
უფლება არა მაქვს პატარა ვიყო.

შემოღის ისმენე.

**ი ს მ ე ნ ე.** უკვე ადექი?

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** ჰო, უკვე ავდექი.

ძი ძა.

თქვენ რა, ორივემ ააფრინეთ? გაგონილა, ბატონი -  
შვილები მსახურებზე ადრე დგებოდნენ? უსე დასე-  
ირნობთ, ჯერ პირში ლუკმაც არ ჩაგიდვიათ. არც  
ჩაგიცვამთ. გაცივდებით, თქვე უბედურებო. აი, ნა-  
ხეთ, კიდევ მე მომხვდება თქვენი გულისათვის.

ანტიგონე. რა გაგვაცივებს, ახლა ხომ ზაფხულია? წადი, ძიძა,  
ყავა მოგვიდულე, ყველაფერს ის აჯობებს.

ძი ძა. უი, მიწა რატომ არ გამისკდება, ჩემო ჩიტო! ბავ-  
შვი მშიური კვდება, მე ჭი ვებუზღუნები.

საჩქაროდ გადის.

ისმენე. აფად ხარ?

ანტიგონე. არა, ცოტა დავიღალე, (ღიმილით.) ადრე ავდექი.

ისმენე. არც მე მძინებია.

ანტიგონე (ისევ ღიმილით). შენ კარგად უნდა გამოგეძინა,  
ხვალაც რომ ასეთი ლამაზი იყო.

ისმენე. რატომ დამცინი?

ანტიგონე. არ დაგცინი. შენი სილამაზე მათამამებს. გახსოვს,  
რა უბედური მეგონა ჩემი თავი პატარაობისას? სულ  
მინდოდა მიწით მომეთხუპნე, კისერში ხოჭოებს  
გიყრიდი. ერთხელ ხეზე მიგაბი და თმა შეგჭერი,  
შენი ლამაზი თმა.... (თმაზე ხელს უსვამს.) ალბათ,  
ასეთი ლამაზი, ფაფუკი და დავარცხნილი თმის  
პატრონს სულელური ფიქრები არ აწუხებს.

ისმენე (მოულოდნელად). რატომ მთავარზე არ ლაპარაკობ?

ანტიგონე (რბილად. თან ისევ თმაზე ეფერება). შენ ასე გგო-  
ნია?

ის მენე. იცი, ანტიგონე, მე ბევრი ვიფიქრე.

ანტიგონე. მართლა?

ის მენე. მთელი ღამე ფიქრში გავატარე. შენ წამდეილად გი-  
ჟი ხარ!

ანტიგონე. პო, ნამდვილად გიჟი ვარ!

ის მენე. ჩვენ ვერ შევძლებთ.

ანტიგონე (პაუზის მერე, წყნარად). რატომ?

ის მენე. ორივეს მოგველავს.

ანტიგონე. რა თქმა უნდა, ყველა თავისას მიიღებს. ის ვალ-  
დებულია სიკვდილით დაგვსაჯოს, ძმის დამარხვა  
კი ჩვენი ვალია. ასეა გადაწყვეტილი, ვერაფერს ვერ  
შევცვლით.

ის მენე. მე არ მინდა სიკვდილი!

ანტიგონე (რბილად). არც მე მოგვედებოდი, რომ შემეძლოს.

ის მენე. მომისმინე. მე მთელი ღამე ვფიქრობოდი. მე შენზე  
უფროსი ვარ და ყოველთვის შენზე ჭკვიანურადაც  
ვიქცევი. შენ კი რაც მოგეპრიანება, იმას აკეთებ,  
გინდაც სისულელე იყოს, სისულელეზე უარესიც...  
მე ყველაფერი ათასჯერ ავწონ-დავწონე.

ანტიგონე. ხანდახან ბევრი ფიქრი მავნებელია.

ის მენე. არა, ანტიგონე! შენ გგონია, მე არ მეცოდება ჩვენი  
ძმა, მაგრამ ცოტა ბიძასაც უნდა გაფუგოთ.

ანტიგონე. მე არ მინდა, რომ ცოტა გავიგო.

ის მენე. ის მეფეა. იძულებულია სამაგალითო იყოს ყველას-  
თვის!

ანტიგონე. მაგრამ მე ხომ მეფე არა ვარ და არც ვაპირებ ვინ-  
მესთვის მაგალითის მიცემას. მე ხომ პატარა ანტი-  
გონე ვარ, ჯიუტი, სულელი... მე ყველაფერს ვაკე

თებ, რაც კი მომეპრიანება, ამიტომაც მაყვენებდნენ  
კუთხეში, ანდა საკუჭნაოში მამწყვდევდნენ. აზიცაა! თავიდანვე გამგონე უნდა ვყოფილიყავი. ურთისესები  
ის მენე. აი, უკვე მოიღუმა... ფეთიანი! მე მაინც მრჩმისმისქვე მე ხომ შენზე უფრო ხშირად ვარ მართალი!

ანტიგონე. მე არ მინდა, რომ მართალი ვიყო.

ის მენე. ბოლოს და ბოლოს, გამიგე მაინც...

ანტიგონე. გაგიგო... რაც თავი მახსოვს, თქვენგან მარტო ეს მესმის. გაიგე, წყალი არ დაღვარო, გაიგე, სილაში არ ითამაშო, კაბა დაგესვრებაო, გაიგე, ყველაფრის ერთად ჭამა არ შეიძლებაო, არ შეიძლება მათხოვარს ფული მისცეო, არც ქართან სირბილში შეჯიბრი შეიძლებაო, მზეზე არ გაჩერდეო, არც მაშინ იბანაო, როცა შენ გინდაო. გაიგე! გაიგეო! მე კი არ მინდა, რომ გავიგო! ამისთვის სიბერეში მოვიცლი... (წყნარად.) თუკი როდესმე დავბერდები. ახლა კი, არა.

ის მენე. ის ჩვეზე ძლიერია, ანტიგონე. ის ხომ მეფეა. ქალაქშიც ყველა ასე ფიქრობს. ისინი კი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი. თებეს ქუჩები სავსეა ხალხით.

ანტიგონე. მე აღარ გისმენ!

ის მენე. ისინი სტვენით დაგვედევნებიან, ჩაგვაფრინდება ათასი ხელი. ერთნაირ სახიანი, ერთნაირ თვალებიანი ათასი კაცი სახეში ჩაგვაფურთხებს. და როცა ფურგონით დასასჯელად წაგვიყვანენ, ჩვენ გაგვაცილებს მათი სიძულვილი, მათი დაცინვა, მათი სიმყრალე. იქ კი ჩაფრები დაგვედებიან, ჩლუნგი ჩაფრები, უხეში საყელოთი კისერგადახეხილი ჩა-

ფრები, დიდხელება ჩაფრები, ხარებივით დამდვე-  
რილი ჩაფრები... და აღარაფერი აღარ გვიშველის:  
აღარც მუდარა, აღარც კივილი. მსინი მონებივით  
ზუსტად შეასრულებენ, რაც ექნებით ნაზრძანები.  
არც დაფიქრდებიან, კარგს აკეთებენ თუ ცუდს.  
ტანჯვის მაინც არ გეშინია? ჩვენ ხომ დავიტანჯე-  
ბით, ჩვენ ხომ ვიგრძნობთ ტკივილს, რომელიც უფ-  
რო და უფრო გაიზრდება და ბოლოს და ბოლოს  
აუტანელი გახდება ჩვენთვის. მაგრამ ეს კიდევ არ  
იქნება დასასრული, ტკივილი უფრო გაძლიერდება,  
გულის გამგმირავ კივილივით... არა, არ მინდა არ  
შემიძლია.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ბევრი გიფიქრია სიკვდილზე!

ი ს მ ე ნ ე. მთელი ღამე. შენ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მეც, რა თქმა უნდა.

ი ს მ ე ნ ე. შენ ხომ იცი, მე როგორი მშიშარა ვარ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (რბილად). მეც მშიშარა ვარ, მერე რა?

პაუზა.

ი ს მ ე ნ ე (მოულოდნელად). ნუთუ შენ სიცოცხლე არ გინდა?  
ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ჩურჩულით). სიცოცხლე არ გინდა... (ჩუმად, ძლიერ  
გასაგონად.) აბა, ვინ დგებოდა უთენია მხოლოდ  
იმიტომ, რომ მთელი სხეულით ეგრძნო დილის ნია-  
ვის სიგრილე, ვინ იძინებდა ყველაზე გვიან, ძილს  
ვინ ებრძოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ხანს  
კიდევ დამტკბარიყო ღამის თილისმით. ან ვინ ტი-  
როდა ბავშვობაში მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეეძ-

ლო მოეწყვიტა ყველა ყვავილი, დაუჭირა ყველა  
ცხოველი!

ის მენე (სწრაფად მიღის ანტიგონესთან). დაიკო (სამართლის მუნიციპალიტეტი)  
ანტიგონე (ხელით იშორებს. ხმამაღლა). არა. მოჰქონდის მუნიციპალიტეტი  
მეფეერები. ჩვენ ახლა წუწუნის დრო არა გვაქვს.  
შენ ბევრი იფიქრე? შენ გეშინია, რომ მთელი ქალა-  
ქი აგვიმშედრდება? ტკიფილის გეშინია? სიკვდი-  
ლის?

ის მენე (თავჩაღუნული). პო.

ანტიგონე. რა გაეწყობა. ეს მშვენიერი მიზეზია უარისათვის.

ის მენე (მივარდება). ანტიგონე, გეხვეწები! მაღალი იდეა-  
ლები კაცების საქმეა, დე, ისინი შეეწირონ ამ იდეა-  
ლებს... შენ ხომ გოგო ხარ!

ანტიგონე (კბილებში გამოცრის). პო, გოგო ვარ. განა ცოტა  
ვიტირე ამის გამო?

ის მენე. ბედნიერება ცხვირწინ გიდევს. მარტო ხელის გაწვ-  
დენა გინდა, რომ არ დაკარგო. დანიშნული ხარ,  
ახალგაზრდა, ლამაზი...


ანტიგონე (ყრუდ). არა, ლამაზი არა ვარ.

ის მენე. რა თქმა უნდა, ჩემსავით ლამაზი არა ხარ, მაგრამ  
სხვანაირად ხარ მომხიბელელი. შენც ძალიან კარ-  
გად იცი, როგორ გეტორლიალებიან ქუჩის ბიჭები,  
გოგოებს კი ენა უვარდებათ და თვალდაბრუცილები  
გიყურებენ, სანამ კუთხეს მიეფარები...

ანტიგონე (ძლივს, შესამჩნევად იღიმება). ბიჭები... გოგოები...

ის მენე (ცოტა ხნის შემდეგ). პემონი?

ანტიგონე (მტკიცედ). პემონი... ჩვენ შორის მაღე ყველაფე-  
რი გათავდება!



ი ს მ ე ნ ე. შენ მართლა გაგიჟდი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ღიმილით). რაც არ უნდა გამეკეთებინა, ყოველთვის  
გიუს მეძახდი. წადი, დაწექი, ისმენები უფლება გაფრთხოს,  
ახლა, სულ ერთია; მაინც ვერაფერს გავაკეთებ, ძმის  
გვამს ფხიზლად ყარაულობენ ჩაფრები, ისე მონდო-  
ბებით იცავენ, თითქოს სიკვდილი კი არა, მეფობა  
მოეპოვებინოს უბედურ პოლინიკეს. წადი, დაწექი.  
დაიღალე, ფერიც დაგვეკარგა...

ი ს მ ე ნ ე. შენ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე არ მეძინება. სანამ არ გაიღვიძებ, არსად არ  
წავალ, პირობას გაძლევ. ახლა ძიძა საჭმელს მომი-  
ტანს. წადი, კიდევ მოასწრებ გამოძინებას, მზე  
ჯერ კარგად არ ამოსულა. თვალები გეხუჭება. რა-  
ღას უყურებ?

ი ს მ ე ნ ე. ჰო, წავალ. მაგრამ შენც უნდა მომისმინო, დამიჯე-  
რო. ხომ მომისმენ, ხომ დამიჯერებ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (გულგრილად). ჰო, მოგისმენ, ყველას მოვუსმენ.  
წადი, დაიძინე, გთხოვ, თორემ ხვალ აღარ იქნები  
ასე ლამაზი. (სევდიანი ღიმილით მიაცილებს ისმენებ-  
მერე დაღლიალი ჭდება.)

საბრალო ისმენე!

შემოლის ძიძა.

ძ ი ძ ა. აი, ყავა და ნამცხვარი, ჭამე, გენაცვალე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. არ მინდა, ძიძა.

ძ ი ძ ა. ჩემი გამომცხვარია, შენ რომ გიყვარს.

- ანტიგონე. გმადლობთ, ძიძა, შენ ძალიან კეთილი ხარ. მე მარ-  
 ტო ყავას დავლევ.
- ერთობებული  
 ცისტული გრეჩუ
- ძიძა. ცუდად ხომ არა ხარ?
- ანტიგონე. არა, ძიძა, მაგრამ მაინც ჩამიხუტე, ავადმყოფს რომ  
 მიხუტებდი ისე. ისევ ისე დამიფარე, როგორც მაშინ  
 მიფარავდი ციებისაგან, კოშმარებისაგან, კედელზე  
 რომ დაცოცავდნენ და ჩემს მასხრად აგდებას ცდი-  
 ლობდნენ, საშინელი მწერებისაგან, რაღაცას რომ  
 ღრღნიდნენ ღამის სიჩუმეში... გახსოვს, შენ მაშინ  
 დამეც განდევნე, ძიძავ, სიკვდილიც განდევნე. მო-  
 მეცი ხელი, როგორც მაშინ, თავთან რომ მეჯექი  
 ხოლმე.
- ძიძა. რა გემართება?
- ანტიგონე. არაფერი, ძიძავ. უბრალოდ ჯერ კიდევ ძალიან პა-  
 ტარა ვარ, რომ... მაგრამ შენ გარდა ეს არავინ არ  
 უნდა გაიგოს.
- ძიძა. რისთვის ხარ ძალიან პატარა, ჩიტო?
- ანტიგონე. არაფრისთვის, ძიძავ. რაც მთავარია, შენ ჩემთან  
 ხარ, მე შენი კეთილი, დამსკდარი ხელი მიჭირავს...  
 ის ყველაფრისაგან დამიფარავს. მჯერა. იქნება ამ  
 ხელმა ერთხელ კიდევ გადამარჩინოს? ძიძავ, შენ ხომ  
 ყველაფერი შეგიძლია.
- ძიძა. რა უნდა გაგიკეთო, ჩემთ მტრედო, მე რა შემიძ-  
 ლია?
- ანტიგონე. არაფერი, ძიძავ, მხოლოდ ხელი დამადე ლოყაზე.  
 აი ასე, (წუთით ჩერდება, თვალს ხუჭავს.) აი, უკვე  
 აღარ მეშინია. აღარც აღქაჯის, არც კუდიანის, არც

ავი სულის. (ცოტა ხანს ჩერდება, მერე შეცვლილი  
ხმით.) მისმინე, ძიძავ, ჩემი ბრალია...

- დიდა. რა იყო?
- ანტიგონე. პირობა მომე, რომ ჩემს ბროლია! არა სოლიდუქ! გუჭუ-  
ჯავრდები.
- დიდა. რას ამბობ, ბროლიას თუ არ გავუწყერი, ხომ  
აიკლო მთელი სახლი?
- ანტიგონე. არ გაუჯავრდე, თუნდაც მთელი სახლი აიკლოს.  
გეხვეწები!
- დიდა. ძაღლმა მთელი სახლი ყირაზე დააყენოს და მე ჩუ-  
მად ვიყო?
- ანტიგონე. ჰო, ძიძა.
- დიდა. ეს აღარ გამიგია?!
- ანტიგონე. გთხოვ, ძიძა, შენ ხომ გიყვარს ჩემი კეთილი, დიდ-  
თავა ბროლია. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ უცოც-  
ხოდ ცხოვრება არ შეგიძლია? შენ ხომ გაგიჟდები,  
სახლს რომ დალაგება არ უნდოდეს?
- დიდა. ჩემი ხალიჩა რომ გასვაროს?
- ანტიგონე. სულ ერთია. მაინც არ გაუჯავრდე. მე შენ ძალიან,  
ძალიან გთხოვ, ძიძიკუნა!
- დიდა. ო, როგორ სარგებლობ ჩემი გულჩილობით! კარგი,  
კარგი, ასე იყოს. ახლა ბროლიას დავუდგები მოსამ-  
სახურედ. საითაც გინდა, იქით მიმაბრუნებ ბეხრევა  
ცხენივით.
- ანტიგონე. მაშინ ისიც დამპირდი, რომ ყოველთვის დაელაპა-  
რაკები ხოლმე.
- დიდა. რას ამბობ? სად გაგონილა? ძაღლს როგორ ველა-  
პარაკო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. არა, არა, ძალლს კი არა, როგორც ადამიანს ისე  
ელაპარაკე. შენ ხომ მოგისმენია, როგორ ველაპარა-  
კები ხოლმე?

ძ ი ძ ა. არა, გენაცვალე! მართალია, ბებერი ვარ, მაგრამ  
ჭირულიან კი არ გადავმცდარვარ! შენ მაგივრად მე  
რატომ უნდა ველაპარაკო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ჩუმად). თუკი ვერ დაველაპარაკები?

ძ ი ძ ა (ვერაფერს ხვდება). ვერ დაველაპარაკები? რატომ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (მიტრიალდება. მტკიცედ განაგრძობს). ისე. ბრო-  
ლიამ თუ ძალიან დაიდარდოს, ძებნა თუ დამიწ-  
ყოს, მოკალით. ოღონდ არ ეტკინოს, ძიძავ.

ძ ი ძ ა. მოვკლათ? შენი ძალლი? რას ამბობ, მტრედო,  
შეიშალე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. არა, ძიძა. (შემოდის ჰემონი.) აი, ჰემონიც! შენ წადი,  
ძიძა, არ დაიგიწყო, რაც დამპირდი. (მიირბენს  
ჰემონთან.) მაპატიე, ჰემონ, გუშინ საღამოს რომ  
შეგეკამათე. ყველაფერი მაპატიე! მე მტყუანი ვი-  
ყავი. გთხოვ, მაპატიო.

ძიძა მიდის.

ჰ ე მ ო ნ ი. განა არ იცი, რომ მაშინვე გაპატიე, როგორც კი კა-  
რი გაიჯახუნე? შენი ნელსაცხებლის სურნელება  
ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. (ხელს ხვევს, ალერსით  
შესცემერის, იღიმება.) მაინც ვის მოპარე ის ნელ-  
საცხებელი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ისმენეს.

ჰ ე მ ო ნ ი. პომადა, პუდრი. ის ლამაზი კაბა?



ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ისინიც.

პ ე მ ო ნ ი. ვისი გულისთვის გამოიპრანჭე ასე? ერთვერებული  
ა ნ ტ ი გ ო ნ ე. გეტყვი (მკერდზე ეკრობა.) ჩემო ჟერუფასოურა-  
ლელი ვიყავი! მთელი საღამო ჩაგაშხამე... ასეთი  
მშვენიერი საღამო.

პ ე მ ო ნ ი. არაფერია. მე და შენ კიდევ ბევრი კარგი საღამო  
გველის, ანტიგონე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. შეიძლება არა.

პ ე მ ო ნ ი. ბევრჯერაც წავიჩხუბებთ. ბედნიერებამ ჩხუბიც  
იცის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. პო, ბედნიერებამ... მომისმინე, პემონ!

პ ე მ ო ნ ი.. აკი გისმენ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ნუ იცინი. დღეს ნუ იხუმრებ.

პ ე მ ო ნ ი. მე არ ვიცინი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. და ხელი მომხვიე, მაგრად, როგორც არასდროს.  
მთელი ძალით!

პ ე მ ო ნ ი. აპა, მთელი ძალით!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (წყნარად ამოიოხრებს). პო, ასე, კარგია! (ცოტა  
ხანს ასე დგანან ჩახვეულები, მერე ანტიგონე ჩუმად  
განაგრძობს.) მომისმინე, პემონ...

პ ე მ ო ნ ი. რა იყო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. იცი რა... ჩვენ თუ ბავშვი გვეყოლებოდა...

პ ე მ ო ნ ი. მერე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე შემეძლო ყველაფრისაგან დამეფარა იგი...

პ ე მ ო ნ ი. რა თქმა უნდა!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე რომ გულში ჩავიკრავდი, არაფრის შიში აღარ  
ექნებოდა. გეფიცები! ვეღარც წყვდიადი, ვეღარც  
უძრავი და მხურვალე მზე, ვეღარც ჩრდილები ვერ

შეაშინებდნენ ჩვენს ბიჭს, ჰემონ! დედამისი, ასეთი  
გონჯი და დაუვარცხნელი, ამქვეყნად ყველა მტკრდებული  
გაფუებულ და ლამაზ დედას აჯობებდა შენ ხომ ჩემი  
გჯერა ეს, ჰემონ?

ჰემონი. პო, ჩემო საყვარელო!

ანტიგონე. ისიც გჯერა, რომ ღირსეული ცოლი გეყოლებოდა?

ჰემონი (ხელს ხვევს). მე ის უკვე მყავს!

ანტიგონე (შეპყვირებს). ესე იგი, მე შენ გიყვარდი, ჰემონ?  
იმ საღამოსაც გიყვარდი? დარწმუნებული ხარ?

ჰემონი. რომელ საღამოს?

ანტიგონე. დარწმუნებული ხარ, რომ მაშინ იმ სამეჯლისო სა-  
ღამოზე არჩევანში არ შემცდარხარ, რომ შენ სწო-  
რედ ასეთ გოგოს ეძებდი? დარწმუნებული ხარ, რომ  
მის მერე ერთხელაც კი არ გინანია? ერთხელაც კი  
არ გიფიქრია, უკეთესი იქნებოდა ისმენე შემერ-  
თოო?

ჰემონი. სულელო!

ანტიგონე. მაშ, მართლა გიყვარვარ? გიყვარვარ, როგორც  
ქალი? არ ტყუიან შენი დიდი ხელები, როცა მე-  
ხვევიან? როცა ჩემს ზურგს ეფერებიან? ნუთუ მატ-  
ყუებს შენი სხეულის სითბო და სუნი, ნუთუ გულიც  
მატყუებს, უსაზღვრო ნდობით რომ მევსება შენს  
მხარზე თავმიდებულს?

ჰემონი. პო, მიყვარხარ!

ანტიგონე. კი მაგრამ, მე ხომ ასეთი უშნო ვარ, შავი, გამხდარი.  
ისმენე კი ნაკვერჩხალივით ღვივის.

ჰემონი. ანტიგონე...

ანტიგონე. მრცხვენია, ძალიან მრცხვენია შენი... მაგრამ დღეს

ჩემთვის აუცილებელია სიმართლე ვიცოდე სიმართლე მითხარი, გთხოვ. თქვი, როცა ფიქტორი, რომ გინდა რომ გავხდე, გრძნობ თუ მართვის სიმართლე სნება სული უფსკრულივით, თითქოს რაღაცა პვდებაო სულში?

ჰემონი. პო, ანტიგონე.

ანტიგონე (ამოიოხებს. პაუზის მერე). მეც სწორედ ასეთი გრძნობა მეუფლება! ისიც მინდა გითხრა, რომ შენი ცოლობა საამაყო იქნებოდა ჩემთვის. მე შენი ნამდვილი ცოლი ვიქნებოდი და შენ შეგეძლებოდა დამყრდნობოდი, როგორც შენი სავარძლის სახელურს, როგორც ნიგთს, მთლიანად შენ რომ გეკუთვნის. (ხელს აშვებინებს. განაგრძობს შეცვლილი ტონით.) ახლა კი ერთი რაღაცის თქმა მინდა, ოღონდ მაშინვე უნდა წახვიდე, უსიტყვოდ, გინდაც უცნაურად მოგეჩვენოს, გულიც რომ გეტკინოს. შემომფიცე!

ჰემონი. რისი თქმა გინდა?

ანტიგონე. შემომფიცე, რომ არაფერს მკითხავ, უსიტყვოდ წახვალ, არც შემომხედავ, მართლა თუ გიყვარგარ — შემომფიცე! (საცოდავად, ძალიან აღელვებული შესტერის.) ხედავ, როგორ გხვეწები? შემომფიცე, რაღას უყურებ! თუ შეიძლება, პემონ! ეს ჩემი ბოლო ახირებაა და შენც უნდა მაპატიო.

ჰემონი (პაუზის მერე). გეფიცები!

ანტიგონე. მადლობელი ვარ. მაშინ ჯერ გუშინდელზე გეტყვი. მეკითხები, რატომ მოვედი ისმენეს კაბით, რატომ შევიღებე ტუჩები? იმიტომ რომ სულელი ვიყავი,

ბოლომდე არ მჯეროდა, რომ შენ მართლა გინდოდა.  
ჩემთან ყოფნა, ამიტომაც მოვირთვე და დაგუმსგავა  
სე სხვა გოგოებს, რათა შენთვის სურვილი მღ  
მეძრა.

პ ე მ ო ნ ი. მართლა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. პო, შენ კი სასაცილოდ ამიგდე და მეც ჩემი საძა-  
გელი ხასიათის გამო თავი ვეღარ შევიკავე და გა-  
მოვიქეცი. (უმატებს ჩუმად.) მე კი იმიტომ მოვედი,  
შენი რომ გავმხდარიყავი, დაგნებებოდი იქამდე,  
ვიდრე... (პემონი უკან იხევს, უნდა რაღაც თქვას, ან-  
ტიგონე უყვირის.) შენ შემომფიცე, არაფერი გე-  
კითხა, შენ მე შემომფიცე, პემონ! (მორჩილად, ჩუ-  
მად.) გეხვეწები! (მიტრიალდება, მტკიცე ხმით.)  
თუმცა მე თვითონ ყველაფერს გეტყვი. მე მინდოდა-  
არაფრისთვის არ შემეხედა და შენი გავმზღდარიყავი  
იმიტომ, რომ მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ და  
იმიტომაც, რომ, ო, მაპატიე, ჩემო ძვირფასო, ტკი-  
ვილს რომ გაყენებ, ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ  
გავხდები შენი ცოლი! (პემონი ენაჩავარდნილი დგას,  
ანტიგონე ფანჯარას მივარდება და ყვირის.) პემონ,  
შენ დაფიცებული გაქვს, წადი! ახლავე წადი, არა-  
ფერი მჭითხო. ხმას თუ ამოიღებ, ნაბიჯს თუ გად-  
მოდგამ, ფანჯრიდან გადავვარდები, გეფიცები, ჩევენს  
ბიჭს გეფიცები, იმ ბიჭს, რომელიც არასოდეს არ-  
გვეყოლება. რაღას უდგახარ, წადი! (ისეთი გამწა-  
რებით ლაპარაკობს, რომ პემონი ემორჩილება.) თუ  
შეიძლება წადი, პემონ. ხვალ ყველაფერს გაიგებ,  
ყველაფერს ძალიან მალე გაიგებ.

(პემონი მიღის. ანტიგონე უძრავად დგას, შაჟუ-  
რებლისკენ ზურგშექცეული, მერე ფანჯარას ხურავს,  
სკამზე ჯდება და იწყებს ლაპარაკს უცნაური სიმ-  
შვიდით.) აი, ანტიგონე, პემონთანაც ყველაფერი  
გათავდა.

შემოდის ისმენე.

ი ს მ ე ნ ე. (ეძებს, ეძახის). ანტიგონე! (დაინახავს.) აჲ, შენ აქა  
ხარ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ადგილიდან არ იძვრის). ჰო, აქა ვარ.

ი ს მ ე ნ ე. ვერაფრით ვერ დავიძინე, თანაც მეშინოდა, არ გაიქ-  
ცეს და თავი არ დაიღუპოს-მეთქი. თუმცა უკვე ვე-  
რაფერს გააკეთებ, გათენდა. ანტიგონე, ჩემო პატარა  
დაიკო, ჩვენ ხომ ყველანი შენთანა ვართ: პემონიც,  
ძიძაც, მეცა და შენი ბროლიაც. ყველას ვვიყვარხარ,  
ყველას გვჭირდები და, რაც მთავარია, ცოცხლები  
ვართ, პოლინიკე კი მკვდარია, იმას შენ არ უყვარ-  
დი, ყოველთვის უცხო იყო ჩვენთვის. ცუდი ძმა იყო.  
დაიგიწყე, ანტიგონე, ის, როგორც მან დაგვივიწყა.  
დე, პოლინიკეს ცხედარი დაუმარხავი დარჩეს და  
მისმა პირქუშმა სულმა სამარადისოდ იწანწალოს  
ამ ქვეყანაზე, რაკი კრეონტმა ასე ბრძანა. რაც არ  
შეგიძლია, არ უნდა მოინდომო. შენ არაფრის  
გეშინია, მაგრამ შენ მხოლოდ პაწაწინა ანტი-  
გონე ხარ. დარჩი ჩვენთან, იქ არ წახვიდე, გემუდა-  
რები.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (დგება, უცნაურად იღიმება, მიღის კარისაკენ,

ზღურბლიდან ელაპარაკება მშვიდად). ახლა უგვა  
გვიანია. ამ დილით რომ შემხვდი, იქიდან ვბრუნდე-  
ბოდი.

ტერპური სიცის

დადის.

- ის მენე (გამოეკიდება). ანტიგონე!  
(როგორც კი ისმენე გავა, მეორე კარიდან შემოვა  
კრეონტი, მსახურთან ერთად.)
- კრეონტი. გვამის მცველი მოვიდაო? რამ მოიყვანა, აბა, შემო-  
ვიდეს.
- შემოდის ჩაფარი, შიშისაგან გაფითრებული, უხეში კაცი.
- ჩაფარი (გაიჭიმება, ესალმება). ჩაფარი ჟონა, მეორე ასე-  
ულიდან!
- კრეონტი. რა გინდა?
- ჩაფარი. მაშ ასე, უფროსო! კენჭი ახლაც მე შემხვდა, პოდა,  
მოვედი კიდეც, უფროსო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ  
ვიფიქრეთ, უკეთესი იქნება, ვინმე თუ წავა და გაა-  
გებინებსო, მეორეც, სამივე ერთად ხომ ვერ წამოვი-  
დოდით? ჩვენ, უფროსო, გვამს ვყარაულობთ.
- კრეონტი. თქვი, რა გინდა?
- ჩაფარი. მოკლედ, მე მარტო არა ვარ, უფროსო, ჩვენ სამნი  
ვართ, ჩემ გარდა დიურანიც არის და ჩვენი სერუან-  
ტი ბუდუსიც.
- კრეონტი. რატომ სერუანტი არ მოვიდა?
- ჩაფარი. სწორეა, უფროსო, მეც ეგა ვთქვი. სერუანტი უნდა  
მოსულიყო. როცა სხვა მეთაურები არ არიან, სერ-  
უანტმა უნდა აგოს პასუხი. ბიჭები კი არ დამე-

თანხმნენ, ავდექით და კენჭი ვყარეთ. სერუანტი  
მოყვანას ხომ არ მიბრძანებთ?

კრეონტი. არა. თქვი, რადგან მოხვედი. შეისულია კრეონტი  
ჩვიდმეტი წელია ვმსახურობ, მოხალისე ვარ, მე  
დალიცა მაქვს. ბრძანებებში ოჯერა ვარ ნახსენები,  
კარგი თვალით მიყურებენ, უფროსო. გულით ვმუ  
შაობ, ბრძანებასაც ყოველთვის ვასრულებ. მეთაურუ  
ბი ამბობენ, ჟონას რომ ღვიძავს, ჩვენ მშვიდად  
გვძინავსო.

კრეონტი. გეყოფა თქვი, რისი გეშინია?!  
ჩაფარი. წესით სერუანტს უნდა მოეხსენებინა. მართალია,  
ჩემს დაწინაურებასაც აპირებენ, მაგრამ ჯერ ა  
დავუწინაურებივართ, ივნისში უნდა დამაწინაურონ.  
იტყვი თუ არა ბოლოს და ბოლოს?! ჩემთვის სულ  
ერთია, ვინც არ უნდა მომახსენოს. თუ რამე მოხდა  
სამივე აგებთ პასუხს!

ჩაფარი. აკი ვამზობ, უფროსო. გვამი... ჩვენ სრულებითაც  
არ გვძინებია. ღამის ორ საათზე დაგვაყენეს. თქვენზე  
კარგად მოგეხსენებათ, რა ძალლური დროა, ღამე  
უბევ გადასულია, თვალები თავისით გეხუჭება, თავი  
ჩამოვარდნაზე გაქვს, ირგვლივ ბურუსია, გამთენის  
წინ რომ ჩამოწვება ხოლმე და იმ ბურუსში წარა  
მარა რაღაც ლანდები გეჩვენება. კარგი დრო შე  
გვირჩიეს იმ ოხრებმა... მაგრამ ჩვენც რომ იქ ვი  
ყავით? რა ვიცი, ვლაპარაკობდით კიდეც, ფეხებსაც  
ვაბაკუნებდით, ცოტა რომ გავმთბარიყავით. ძილით  
კი არ გვძინებია, უფროსო, რაც მართალია, მართა  
ლია, სამივე დავიფიცებთ, თანაც ძალიან ციოდა.

შევხედე გვამს და რას ვხედავ? ორ ნაბიჯზე ვიღუ-  
ქით, მაგრამ მე მაინც ხშირ-ხშირად ვუყურებდი,  
წესრიგის კაცი ვარ, უფროსო, ყველაფერს ისე ვაკე-  
თებ, როგორც საჭიროა. ტყუილად კი არ ჩშბობენ  
მეთაურები: როცა ჩვენს უონას ღვიძავს... (კრეონტი  
უესტით აჩერებს, ჩაფარი სხაპასხუპით მიაყრის.)  
პირველმა მე დავინახე, უფროსო, სხვებიც დამიდას-  
ტურებენ, რომ მე ავტეხე პირველმა განვაში.

კრეონტი.

ჩაფარი.

განვაში? რატომ?

გვამი, უფროსო! ვიღაცას მიწა დაეყარა. ბევრი კი  
არა, ისე, ზერელედ, ეტყობა, ვერ მოასწრეს. ჩვენ  
ხომ იქვე ვიდექით? მიწა კი ცოტა დაეყარათ, მაგ-  
რამ იმდენი კი იყო, ნადირს რომ ვეღარ გაეფუჭე-  
ბინა.

კრეონტი

ჩაფარი.

(ახლოს მივა). იქნებ მიწა ნადირმა მოთხარა?

არავითარ შემთხვევაში, უფროსო! თავიდან ჩვენც  
ასე ვიფიქრეთ, მაგრამ მიწა ზემოდან იყო დაყრილი,  
როგორც ადათია. ეტყობა, დამნაშავემ იცოდა, რა-  
საც აკეთებდა.

კრეონტი.

ჩაფარი.

კი მაგრამ, ვინ გაბედავდა? ვინ გიჟი გადავიდოდა  
ჩემს ბრძანებას? რამე კვალი ხომ არ შეგიმჩნევიათ?

არავითარი, უფროსო. მხოლოდ ერთ ადგილას, ისიც  
ძლიეს შევამჩნიე, გეგონება, ჩიტმა დააბიჯაო. თუმ-  
ცა დიდი ძებნის მერე დიურანმა ნიჩაბიც იპოვა.  
ძველი, უანგიანი, სათამაშო ნიჩაბი. მაგრამ ასეთ  
საქმეს ბავშვი რას გაბედავდა? ჩვენმა სერუანტმა,  
რა თქმა უნდა, ნიჩაბი შეინახა, ძიებაში გამო-  
გვადგებაო.

**გრეონტი** (ჩაფიქრებული, თავისთვის). ბავშვი? მართალია, ოპოზიცია განდაგურებულია, მაგრამ ჩუმპჩუმად მაინც მოქმედობს. ეს პოლინიკეს მედიოტრედეფურული, ოქრო თებეში რომ გადამალეს. ნიგრით აყროლებული სახალხო ბელადები, რატომღაც დიდგვაროვან ბლენდებს რომ ·მიტმასნებიან, ხარბი ქურუმები, მღვრიე წყალში თევზს რომ იჭერენ... ბავშვი? რა თქმა უნდა, ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ ასე უფრო გულის ამაჩუყებულია. წარმომიღვენია ის ბავშვი დაქირავებული მკელელი, პალტოს ქვეშ რომ ნიჩაბი დაუმალია. ან იქნებ მართლაც წააქეზეს და გაასულელეს ვინმე ბავშვი მაღალფარდოვანი და მყვირალა ფრაზებით? ეს ხომ იშვიათი შენაძენი იქნებოდა მათი პარტიისათვის! ფერმქრთალი ბიჭუნა, ზიზღით რომ აფურთხებს თოფმოლერებულ ჯარისკაცებს; ნორჩ, უცოდველ სისხლში ამოსვრილი ჩემი ხელები... კიდევ ერთი ეშმაკური სვლა! (ჩაფარს უახლოვდება.) მათ თანამზრახველებიც უნდა ჰყავდეთ, იქნებ ჩაფრებიც შემოიპარნენ? გესმის? შენ გეუბნები ჩვენ ფხიზლად ვყარაულობდით. დიურანი მხოლოდ ნახევარი საათი ჩამოჯდა, ფეხებმა შეაწუხეს. მე კი უფროსო, წუთითაც არ დამისვენია. თუ გინდათ, სერუანტს ჰქითხეთ.

**გრეონტი.** ვინმესთვის ხომ არ მოგიყოლიათ ეს ამბავი?  
**ჩაფარი.** არავისთვის, უფროსო! ჩვენ მაშინვე ვყარეთ კენტი და მეც მაშინვე აქეთ გამოგქანდი.  
**გრეონტი.** კარგად დამიგდე ყური. ვბრძანებ, გააგრძელონ თქვენი მორიგეობის ვადა. ცვლა უკან გაბრუნდეს.

გვამთან მხოლოდ თქვენ უნდა იყოთ და კრეონტი!  
თქვენ ცუდად დარაჯობდით, დამნაშავენეცა ხართ  
და კანონით დაისჯებით კიდეც წესდების მიხედვით  
მაგრამ თუ წამოაყრანტალებთ და ქალაქი გაიგებს,  
რომ ვიღაცა ცდილობდა პოლინიკეს გვამის დამარ-  
ხვას, სამიგეს ჩამოგახრჩობთ!

ჩაფარი (ყვირის შეშინებული). არავისთვის არ გვითქვამს,  
უფროსო! გეფიცები! მაგრამ სანამ მე აქა ვარ, იქ-  
ნებ იმათ უკვე წამოაყრანტალეს. (შუბლი თფლის  
მსხვილი წვეთებით დაეცვარა, ენა ებმის.) უფრო-  
სო, ორი შვილის მამა ვარ, ერთი სულ მთლად პა-  
ტარაა. ხომ დამიდასტურებთ სამხედრო სასამართ-  
ლოზე, რომ მე აქ ვიყავ თქვენთან, ესე იგი, თქვენ  
ჩემი მოწმე ხართ, ვიღაცამ თუ მართლა წამოაყრან-  
ტალა, ესე იგი, მე არაფერ შუაში ვარ. მე მოწმე  
მყავს.

კრეონტი. ახლავე გავარდი, ცოცხლად! თუ ჯერ არავის გაუ-  
გია, გაპატიებ! (ჩაფარი გარბის. ცოტა ხნის დუმი-  
ლის შემდეგ, ბუზღუნით.) ბავშვი! (მსახურს მხარზე  
ადებს ხელს.) მოდი, ჩემო ბიჭუნა. იძულებული  
ვიქენებით ჩენ თვითონვე მოვყევთ ყველაფერი. კარ-  
გი ამბავი დატრიალდება! შენ ხომ მოქვდები ჩემი  
გულისთვის, ხომ იტყვი მე ვიყავი ის ბავშვიო?  
(ბიჭი ჩუმად უყურებს. კრეონტი თავზე ხელს უსვამს,  
ერთად მიდიან.) ანდა არა, შენ ახლა მარტო მოგი-  
წევს წასვლა... (ისმის, როგორ ამოიოხრებს გასვლი-  
სას.) ბავშვი...

ისინი გადიან. შემოდის ქორო.

მაშ ასე, ზამბარა უკვე ბოლომდეა გაჭიმული. ახლა  
ყველაფერი თავისი გზით წაგა. ამით არის ტრაგე-  
დია ხელსაყრელი, საკმარისია საჭსებრო ცხატრა  
ბიძი, რომ მთელი მექანიზმი აამოქანდა. ამის მას-  
ვის საკმარისია ყოველგვარი წვრილმანი: ქუჩაში  
მიმავალი გოგოსათვის თვალის შევლება, ანდა მოუ-  
ლოდნელად გაღვიძებული მაღის მსგავსი, პატივმო-  
ყვარეობით სავსე სურვილი, ერთ მშვენიერ დღეს  
გამოფხიზლების ჟამს რომ დაგებადება... ანდა დაუ-  
ფიქრებული შეკითხვა, საკუთარ თავს რომ დაუსვამ-  
ერთხელ საღამოთი. საესებით საკმარისია! მერე კი  
ისღა დაგრჩნია, აცალო, რომ მოვლენები თავისით  
განვითარდნენ. ნუ აღელდები, ყველაფერი თავის-  
თავად მოხდება. ეს როული მექანიზმია და კარგა-  
დაცაა გაზუთილი. სიკვდილი, ღალატი, სასოწარკვე-  
თა უვე კართან დგანან, მზად არიან. მზად არის  
აფეთქებაც, ჭექა-ქუჩილიც, სიჩუმეც. ყოველნაირი  
სიჩუმე: სიჩუმე დასასრულისა, როდესაც აღმართუ-  
ლია ჯალათის ხელი, სიჩუმე სიცოცხლის დასაწყი-  
სისა, როცა მიჯნურები პირველად წვანან ბნელ  
ოთახში, სიჩუმე, რომელსაც ნაფლეთებად გლეჯს გა-  
მარჯვებულის ირგვლივ თავმოყრილი ბრძოს ყიფინა.  
მაგარმ ყიფინა უცებ წყდება, როგორც კინოში. დაღე-  
ბული პირები ხმას აღარ გამოსცემენ. გამარჯვებუ-  
ლის საპატივსაცემოდ გამართული ზეიმი მოჩვენე-  
ბითი ხდება, ზეიმის გმირი კი უკვე დამარცხებულია.  
იგი მარტოა ამ სიჩუმეში.

ტრაგედია ნაღდია, საიმედო, იგი დამამშვიდებ-

ლად მოქმედობს, ხოლო გამცემლებითა და პირ-  
წაგარდნილი ბოროტმოქმედებით, დევნილი სიმარ-  
თლითა და შურისმაძიებლებით, ნიუფაუნდლენდის უკა-  
ძალლებითა და იმედის ნაპერჭქლებით საჭელ დაზამზადებული  
ში სიკვდილი შემსარავია. დრამაში სიკვდილი ისე-  
ვე გარდუვალია, როგორც შემთხვევა, მაგრამ, შესა-  
ძლებელია, გმირი ქალი გადარჩეს კიდეც, თუკი  
კეთილშობილი ყმაწვილი დროზე მოუსწრებს უან-  
დარმებთან ერთად... ტრაგედიას კი შეგიძლია მშვი-  
დად უყურო. აქ ყველაფერი წინასწარაა ცნობილი  
და არსებითად არავინ არ არის დამნაშავე, თუმცა  
ერთი მკვლელია, მეორე კი ამ მკვლელის მსხვერპ-  
ლი. გააჩნია, ვის რა მოუწევს. ტრაგედია დამამშვი-  
დებლად მოქმედებს იმიტომაც, რომ წინასწარ იცი,  
არ არსებობს არავითარი იმედი, იმედის ნატამალიც  
კი. გმირები ხაფანგში მოხვედრილ თაგვებივით  
აწყდებიან კედლებს. ცა თავზე ენგრევათ და ისღა  
დარჩენიათ, რომ იყვირონ, კი არ იკვნესონ, კი არ  
იწუწუნონ, არამედ მთელი ხმით იყვირონ ის, რაც  
ადრე უნდა ეთქვათ, რაც არასოდეს არ თქმულა და  
რაც, შესაძლებელია, ახლაც გაურკვეველი იყოს. რა-  
ტომ? მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თავს უთხრან,  
თვითონ გაიგონ. დრამაში იბრძვიან, რადგან იმე-  
დოვნებენ, რომ თავს დააღწევენ უბედურებას. ეს კი  
მეტისმეტად ხელსაყრელია და ამიტომაც არაკეთილ-  
შობილური. ტრაგედიაში ამაოდ იბრძვიან. ბრძოლა,  
რომელიც გამარჯვებით არასოდეს არ გვირგვინდე-  
ბა — მეფეთა ხვედრია.

ქორო.

აი, იწყება კიდეც! პატარა ანტიგონე... დაიწყებოდეს... ახლა პატარა ანტიგონეს პირველად ეძლევა შესაძლებლობა, გვაჩვენოს თავისი ნამდვილი სახე.

ქორო გადის, სანამ ჩაფიქრები ანტიგონეს ავანსცენისაკენ უბიძგებენ.

ჩაფარი

(საკუთარი თავის რწმენა დაბრუნებია). აბა, აბა, მორჩი ბაზარს! უფროსს აუხსენი! მე ჩემი ინსტრუქტორია მაქანის, დანარჩენი მე არ მექება. თავის მართლება ადვილია. თქვენ რომ მოგისმინოთ, ყველანი ბატქნებივით უცოდველები აღმოვჩნდებით. მორჩი-მექი, შენ გეუბნებიან! მაგრად მოჰკიდე ხელი. უფროსს რაც უნდა, ის მოუყვეს, ეგ ჩემი საქმე არ არის და არც მაინტერესებს.

ანტიგონე. უბრძანე, გამიშვან. მომაშორონ თავიანთი ბინძური ხელები. მტკივა.

ჩაფარი. ბინძური ხელებიო? ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკე, ქალიშვილო! მე ხომ წესიერად გვეცევი!

ანტიგონე. არ გაბედოთ ჩემი ხელის ხლება! მე ოიდიპოსის ასული ვარ, ანტიგონე.

ჩაფარი. ოიდიპოსის ქალიშვილი? რას მეუბნები? ღამით პოლიციაში გახპა რომ მოჰყავთ, ისიც ასე იძახის, როგორ მიბედავთ, თქვენი უფროსი ჩემი მეგობარია!

ჩაფიქრები ხარხარებენ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. თქვენს ბინძურ ხელებს სიკვდილი მირჩევნია! შენ არ იყავი, მკვდარს რომ მიწას აყრიდი? ბინძური ხელები! ჯობია, შენს ხელებზე დაუჩედო! ანტიგონე მწარე ღიმილით დასცერის თავის დაზირებილ, მიწაში ამოსვრილ ხელებს.

ჩ ა ფ ა რ ი. ნიჩაბი წაგართვეს, შენ მაინც შენსას განაგრძობდი, ახლა ფრჩხილებით გინდოდა მიწის მოთხრა. ისე ყოჩაღი კი ყოფილხარ! მარტო წუთით მივტრიალდი, დიურანს თუთუნი გამოვართვი, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, მოვიხედე და რას ვხედავ? აფთარივით თხრიდა მიწას! დღისით მზისით! ხელი რომ წაგატანე, უნდა გენახათ, რა დაემართა! ისე დაიკლაკნა, კინაღამ გამისხლტა, ცოტას მორჩა, თვალი გამომთხარა. ჩემი საქმე დამამთავრებინეოთ. ნამდვილად ააფრინა, ჩემმა მზემ!

მ ე ო რ ე ჩ ა ფ ა რ ი. ამას წინათ ერთი გიუი ქალი დავიჭირე, კაბას იწევდა და გამვლელებს შიშველ გავას უჩევნებდა.

ჩ ა ფ ა რ ი. ყველაფერს ჯობია ერთი გემოზე შევუბეროთ, კარგად თუ დაგვაჯილდოებენ.

მ ე ო რ ე ჩ ა ფ ა რ ი. შეიძლება. თომასთან წავიდეთ, კარგი ღვინო აქვს.

მ ე ს ა მ ე ჩ ა ფ ა რ ი. კვირაობით თომასთან მართლაც კარგი პურის ჭამა შეიძლება. ცოლებიც ხომ არ წაგვეუვანა?

ჩ ა ფ ა რ ი. მოდი, ქალებს ნუ ავიკიდებთ. ხათაბალაა. აბა, ბაჟშვი გადააყენეო, ჭიქაში ნუ ვარდებიო. არა, ძმაო, ნაღდად ტუზი დაგვეცა. რას ვიფიქრებდი, ყველაფერი ასე თუ შეტრიალდებოდა?

მეორე ჩაფარი. გავიხედე და მართლაც დაგვაჯილდოეს!  
ჩაფარი. საქმეს გააჩნია!  
მესამე ჩაფარი. ფლანშერი ხომ დააჯილდოეს, მესამე ასეულიდან? ვიღაც დამთხვეული დაწირა... და უწინო თვის ჯამაგირი მისცეს.

მეორე ჩაფარი. რას ამბობ? ერთი თვის ჯამაგირს თუ მოგვცემენ, თომასთან რა გვინდა, არაბულ სასახლეში წავიდეთ!

ჩაფარი. გაგიუდი? გავიყიდებით. დაბეჭდილი ღვინო ორჯერ ძვირია. დროს ტარება იცოცხლე, იქ ჯობია, მაგრამ დალევა არ გამოვა... მე თუ მკითხავთ, ჯერ თომასთან მაგრად შევუბეროთ, მერე კი არაბულ სასახლეში წავიდეთ. რა გოგო იყო გახსოვს, ბიჭო?

მეორე ჩაფარი. შენ მაგარი მთვრალი იყავი, ძმაო.

მესამე ჩაფარი. ერთი თვის ჯამაგირს თუ მოგვცემენ, ჩვენი ცოლები ნაღდად გაიგებენ. ალბათ, სახალხოდ დაგვაჯილდოებენ.

ჩაფარი. ვნახოთ. რაც არ უნდა იყოს, ქეიფით მაინც ვიქეიფოთ. თუ ცერემონიას ყაზარმის ეზოში გამართავენ, როგორც ორდენების დარიგების დროს იციან ხოლმე, მაშინ ჩვენი ჯალაბობაც წამობრძანდება, რას გამოაპარებ! იქიდან ყველანი ერთად წავალოთ თომასთან.

მეორე ჩაფარი. მოგიდა! ოღონდ სადილი წინასწარ შევუკვეთოთ, თუ ძმა ხარ!

ანტიგონე (ჩუმალ). თუ შეიძლება, ჩამოვჯდები!

ჩაფარი (ყოტას ფიქრობს). კარგი, დაჯდეს. ოღონდ თვალი გეჭიროთ.

შემოღის კრეონტი. ჩაფრები იჭიმებიან.



- ჩ ა ფ ა რ ი. მაქვს პატივი, მოგახსენოთ!
- კ რ ე თ ნ ტ ი (გაკვირვებული ჩერდება). რა ამბავია? ახლავნება  
უშვით ეს გოგო!
- ჩ ა ფ ა რ ი. ჩვენ სადარაჯოდანა გართ, უფროსო. ყველანი ერ-  
თად მოვედით.
- კ რ ე თ ნ ტ ი. ცხედარს ვიღა დარაჯობს?
- ჩ ა ფ ა რ ი. ახალი ცვლა გამოვიძახე, უფროსო.
- კ რ ე თ ნ ტ ი. მე ხომ გიბრძანე, ფეხი არ მოიცალო და არავის-  
თან კრინტი არ დასძრა-მეთქი?
- ჩ ა ფ ა რ ი. ჩვენ არაფერი გვითქამს, უფროსო. მაგრამ როცა  
ეს დავიჭირეთ, გადავწყვიტეთ, აქ წამოვსულიყავით.  
აქნები აღარ გვიყრია, ყველანი ერთად მოვედით.
- კ რ ე თ ნ ტ ი. ბრიყვები! (ანტიგონეს.) სად დაგიჭირეს?
- ჩ ა ფ ა რ ი. ცხედართან, უფროსო.
- კ რ ე თ ნ ტ ი. ცხედართან რა გინდოდა, ხომ იცი, რომ მე ყველას  
ავუგრძალე გვამთან მიახლოება?
- ჩ ა ფ ა რ ი. რა გინდოდაო? რა უნდოდა და მიწას თხრიდა, გვა-  
მის დამარხვა უნდოდა. იმიტომაც მოვიყვანეთ.
- კ რ ე თ ნ ტ ი. გესმის, რას მეუბნები?
- ჩ ა ფ ა რ ი. მესმის, უფროსო. შეგიძლიათ სხვებსაც ჰქითხოთ.  
მე რომ მივბრუნდი, ამათ ცხედრისთვის მიწა უკვე  
მოეშორებინათ. რაკი მზე საშინლად აჭერდა და გვა-  
მიც ძალზე ყარდა, ჩვენ ცოტა მოშორებით დავდექით,  
ბორცვის იქით, რა უნდა მომხდარიყო დღისით, მზი-  
სით, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს და ჩვენ მაინც გადა-  
ვწყვიტეთ რიგრიგობით გვეთვალთვალა. შუადღისას  
ნიავიც ჩადგა. მზემ კიდევ უფრო დააჭირა, გვამიც  
პიდევ უფრო აყროლდა. თვალებგადმოყრილი ვიდექი,

მაგრამ რა გინდა? ირგვლივ ყველაფერი ცახცახებდა სიცხისაგან, ხურვება შეყრილივით და ურაფერს ვხედავდი. თავი მისკდებოდა, თითქმის ვიღაცამ ჰქონიანი ჩაურტყამსო. ამხანაგთან მივედი, თუთუნისთვის, ვიფიქრე, გამივლის-მეთქი. სიგარეტს მოვუკიდე, ამხანაგს მადლობა ვუთხარი და რას ვხედავ? ეს გოგო მისდგომია და მიწას ფრჩხილებით თხრის. დღისით, მზისით! ბრმები ხომ არ ვიყავით? კიდევ უარესი! მისკენ გავქანდი, ზედაც არ შემოუხედავს, თქვენც არ მომიკვდეთ! ცოფიანივით თხრიდა მიწას. ხელი რომ მოვგიდე, ქაჯივით დაიგრიხა, გამიშვი, ძმის ცხედარი დამამარხვინე, ვალდებული ვარო.

კრეონტი (ანტიგონეს). მართალია?

ანტიგონე. მართალია.

ჩაფარი. ჩვენ გვამს ისევ გადავაშორეთ მიწა, როგორც ნაბრძანები გვერდია. მერე მორიგეობა სხვებს ჩავაბარეთ, არავისთვის სიტყვა არ გვითქვამს, ეს წამოვიყვანეთ და თქვენები გამოვეშურეთ. ეს არის და ეს!

კრეონტი. პირველადაც შენ იყავი, დამით?

ანტიგონე. პო. წუხელ პოლინიკეს ნიჩბით ვთხრიდი მიწას. იმ არდადეგების დროს სილაში გვირაბები გაგვყავდა. პოლინიკემ ტარზე თავისი სახელიც კი ამოჭრა. ამიტომაც დავტოვე ის ნიჩაბი ცხედართან. ჩაფრებმა კი წაიღეს და მეც იძულებული გავხდი დღეს ფრჩხილებით მომეთხარა მიწა.

ჩაფარი. იფიქრებდით, პატარა მხეციაო. დიურანმაც ასე თქვა, ნამდვილად ნადირიაო. ხომ არ გაგიუდი, რა

ნადირი, რის ნადირი, გოგოა-მეთქი. განა ნადირ  
შეუძლია ასეთი რამის გაკეთება?

კრეონტი. კარგი, კარგი. თქვენ ამას ყველაფერს წერილობით მომახსენებთ, თუ საჭირო იქნება. ახლა კი მარტო დაგვტოვეთ. ჩემო ბიჭუნა, ესენი წაიყვანე, მოიცა-დონ, სანამ მე არ დავუძახებ.

ჩაფარი. ბორკილი დავადოთ, უფროსო?

კრეონტი. არ არის საჭირო.

ჩაფრები მსახურს მიჰყვებიან. კრეონტი და ანტიგონე მარტო რჩებიან.

კრეონტი. ვინმესთვის ხომ არ გაგინდვია შენი განზრახვა?

ანტიგონე. არა.

კრეონტი. არც არავინ არ შეგხვედრია, იქით რომ მიდიოდი?

ანტიგონე. არა.

კრეონტი. დარწმუნებული ხარ?

ანტიგონე. დარწმუნებული ვარ.

კრეონტი. მაშინ მომისმინე, ახლავე შენს ოთახში დაბრუნდი, იტყვი, აგად გავხდი და ორი დღეა შინიდან არ გა-მოვსულვარ-თქო. ძიძაც დაგიმოწმებს. ამ ჩაფრებს კი მე მოვუვლი.

ანტიგონე. რატომ? თქვენ ხომ იცით, რომ მე ჩემსას არ და-ვიშლი. პაუზა. (ისინი ერთმანეთს შესცემიან.)

კრეონტი. რატომ ცდილობდი შენი ძმის დამარხვას?

ანტიგონე. ეს ჩემი ვალია.

კრეონტი. მაგრამ, მე ხომ აგიკრძალეთ!

ანტიგონე (რბილად). მე მაინც ვალდებული ვიყავი ასე მოვ-

ქცეულიყავი. დაუმარხავთა აჩრდილები დაეხეტებიან  
და სიმშვიდეს ვერ პოულობენ. ჩემი ძმა ცოცხალი  
რომ ყოფილიყო და ნადირობიდან დაპრუნებულიყო,  
მე მას ფეხსაცმელს გავხდიდი, საჭმელს მივუტანდი,  
საწოლს გავუშლიდი. პოლინიკეს უკანასკნელი ნა-  
დირობა დამთავრებულია. ის შინ ბრუნდება. მას  
მამა ელოდება, დედაც და ეთეოკლეც. მას აქვს და-  
სვენების უფლება.

კრეონტი. მაგრამ ის ხომ მეამბოხე იყო, მოღალატე?

ანტიგონე. ის ჩემი ძმა იყო.

კრეონტი. ნუთუ არ მოგისმენია გზაჯვარედინებზე ჩემს ბრძა-  
ნებას რომ კითხულობენ. არ წაგიკითხავს მაინც, ის  
ხომ ქალაქის ყველა კედელზეა გაკრული.

ანტიგონე. მომისმენია, წამიკითხავს.

კრეონტი. ესე იგი, შენ იცოდი, რა ელოდა ყველას, ვინც არ  
უნდა ყოფილიყო იგი, ოუკი პოლინიკეს გვამის და-  
მარხვას გაბედავდა?

ანტიგონე. დიახ, ვიცოდი.

კრეონტი. ან იქნებ იფიქრე, რადგან ოიდიპოსის ასული ვარ,  
ამაყი მეფე ოიდიპოსის ასული, ჩემთვის კანონი არ  
იწერებაო?

ანტიგონე. არა, მე ეს არ მიფიქრია.

კრეონტი. ამ კანონს პირველი შენ უნდა დამორჩილებოდა,  
ანტიგონე, მეფის ასული სხვებზე მეტადაა ვალდე-  
ბული კანონს პატივი სცეს.

ანტიგონე. მე რომ უბრალო მოახლე გყოფილიყავი, ანდა მრე-  
ცხავი, მაშინაც კი წავიდოდი ძმის დასამარხავად.



საპნიან ხელებს შევიმშრალებდი და ისე გავიქცეოდი,  
წინსაფარს არც კი მოვიხსნიდი.

**კრეონ ტი.** ტყუი! შენ რომ მოახლე ყოფილიყავი, ვერ გაძლიერებდი  
დი. გეცოდინებოდა, რომ დაგსჯიდნენ. შინ დარჩე-  
ბოდი და მალულად დაიტირებდი ძმას. შენ კი ასე  
იფიქრე, მე მეფის სისხლი მაქვს, კრეონტის დის-  
წული ვარ, მისი შვილის საცოლე და რაც არ უნდა  
მოხდეს, ის ჩემს დასჯას ვერ გაბერდავსო.

**ანტიგონე.** ცდებით. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ დამსჯი-  
დით.

**კრეონ ტი.** (თვალს არ აშორებს). ოიდიპოსის სიამაყე! ოიდი-  
პოსის სიკერპე გალაპარაკებს. ახლა, როცა შენს  
თვალებში ის სიამაყე დავინახე, უკვე მჯერა შენი.  
პო, შენ ნამდვილად იცოდი, რომ დაგსჯიდი. და ეს  
ბუნებრივი დასასრული გეგონა. მამაშენსაც ასევე  
არ ყოფნიდა ჩვეულებრივი, ადამიანური უბედურე-  
ბები, ბედნიერებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უბ-  
რალო, ადამიანური გრძნობები თქვენი ოჯახისთვის  
უცხოა, ისინი თქვენ გბოჭავენ. თქვენთვის აუცილე-  
ბელია აუმშედრდეთ ბედისწერას ან სიკვდილს, მოკ-  
ლათ მამა; იცხოვროთ დედასთან, და მერე ყველაფე-  
რი ქს ერთად, ერთბაშად შეიტყოთ და სარბად  
შეისრუტოთ თითოეული წინადადება. ნუთუ შეიძ-  
ლება განაჩენის სიტყვები წამალივით გადაყლაპო-  
იმათსავით, ვისაც ოიდიპოსის სისხლი უჩქეფს ძარ-  
ღვებში! მერე კი, ამაზე ადვილი რა არის, ითხრიან-  
თვალებს და თავის ბავშვებთან ერთად დაეხეტებიან-  
გზებზე, მოწყალების სათხოვნელად. არა, არაფრის:

გულისთვის! ეგ დრო წავიდა. ახლა თებემ, როგორც  
იქნა, ისეთი მეფე იშოვა, რომლის სახელიც ისტო-  
რიაში არ არის ნადიდები. მე, შადლობა, ღმურუს,  
უბრალოდ კრეონტს მეძახიან. მე, ჯიბეში ხელებ-  
ჩაწყობილი, მიწაზე ორივე ფეხით ვდგავარ. და  
რადგან მეფე ვარ, გადაგწყვიტე კიდეც, მიუხედავად  
იმისა, რომ პატივმოყვარეობა მე უფრო ნაკლებად  
მაწუხებს, ვიღრე მამაშენს, ერთ რამეს შევწირო  
თავი: ეს ქვეყანა ცოტა უფრო გონიერულად მოვა-  
წესრიგო, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია, ეს  
ავანტიურა კი არა, ყოველდღიური სამუშაოა, ზოგ-  
ჯერ არასასიამოვნოც, როგორც სხვათა შორის, ყვე-  
ლა დანარჩენი სამუშაო. და თუ ხვალ მთებიდან  
მტვერში ამოგანგლული მაცნე ჩამოვა, რათა მაუწ-  
ყოს ჩემი საეჭვო წარმოშობის ამბავი, მე იმას ჯან-  
დაბის იქით გავგზავნი და იმასაც კი არ ვიფიქრებ,  
რომ პირზე წავუდგე შენს გარდაცვლილ დეიდას,  
რათა დავაზუსტო ზოგიერთი თარიღი. მეფეებს პი-  
რადი ტრაგედიებისთვის არ სცალიათ, ჩემთ პატარავ.  
(მიდის ანტიგონესთან. მკლავში ხელს უყრის.) აბა,  
ახლა კი მომისმინე. დე, იყავი შენ ანტიგონე, თიდი-  
პოსის ასული, მაგრამ შენ მაინც მხოლოდ ოცი  
წლისა ხარ და ეს ამბავი ცოტათი ადრე რომ მომხ-  
დარიყო, ჩვენ ყველაფერს უფრო ადვილად მოვაგვა-  
რებდით: დაგსვამდით ხელა პურზე და ერთ ჭიქა  
წყალზე, და ერთი-ორჯერ კარგადაც გაგასილაქებ-  
დით. (ღიმილით უყურებს.) შენ დაგსაჯო? შეხედე  
შენს თავს, ბეღურავ! შენ ამისთვის ძალზე გამხდა-

რი ხარ. უმჯობესია, ცოტათი გასუქდე, რათა პემონს  
ჯანმრთელი ბიჭი გაუჩინო. დარწმუნებული იყავდ, თებეს ის უფრო სჭირდება, ვიდრე შენი შევეღალი! ახლავე დაბრუნდები შინ, ხმას არ ამოიღებ და ისე  
მოიქცევი, როგორც მე გიბრძანებ. ხოლო სხვებმაც  
პირში წყალი რომ ჩაიგუბონ, ამაზე თვითონ ვიზ-  
რუნებ. კარგი, კარგი ნუ შემჭამე თვალებით, შენ, რა  
თქმა უნდა, მე გაუთლელ პირუტყვად მთვლი, გგო-  
ნია, ჩემთვის მიუღწეველია ამაღლებული გრძნობე-  
ბი. მაგრამ, მიუხედავად შენი აუტანელი ხასიათისა,  
მე მაინც მიყვარხარ. არც ის დაგავიწყდეს, რომ  
პირველი თოჯინა მე გაჩიუქე, სხვამ კი არა, მე. და  
ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო. (ანტიგონე არ  
პასუხობს, კარისაკენ მიღის. შეაჩერებს.) ანტიგონე!  
ეს ხომ შენი ოთახის კარი არ არის. სად მიდიხარ?  
ანტიგონე (ჩერდება). თქვენ იცით, სად მივდივარ.

პაუზა. ისინი ისევ ერთმანეთს შესცერიან.

კრეონტი (თითქოს თავისთვის). რა გინდა მაინც მაგით და-  
ამტკიცო, რას თამაშობ?

ანტიგონე. მე არ ვთამაშობ.

კრეონტი. ნუთუ არ გესმის, რომ ამ სამი ბრიყვის გარდა სხვაც  
თუ გაიგებს, იძულებული ვიქნები, დაგსაჯო? შენს  
გადარჩენას მე მაშინ შევძლებ, თუ შენც გაჩიუმდები,  
თუ დაივიწყებ შენს გიუურ განზრახვას. მაგრამ ხუ-  
თი წუთის მერე მე ეს აღარ შემეძლება. გესმის?

ანტიგონე. ჩემი ძმა უნდა დავმარხო, ვალდებული ვარ! შენმა  
ჩაფრებმა ხელი შემიშალეს.

**კრეონტი.** მაშ, შენ ახალი სისულელის ჩადენას აპირებ? მაგრამ პოლინიკეს ცხედართან ხომ ყარბული დახას, და შენ კიდევ რომ შეძლო მისი დაშარზეა, ჩხინი ძევე ამოთხრიან. შენ რა შეგიძლია? მხოლოდ ფრჩხილებს დაიმტვრევ, თანაც მაშინვე დაგიჭერენ.

**ანტიგონე.** ჰო, მხოლოდ ფრჩხილებს დავიმტვრევ. უკიდურეს შემთხვევაში ეს მაინც შემიძლია. ყველამ ის უნდა გააკეთოს, რისი ძალაც შესწევს.

**კრეონტი.** შენ რა, მართლა გჯერა დამარხევის ადათ-წესები? მართლა გვონია, რომ შენი ძმის აჩრდილი ასე კარიკარ იწანწალებს, ერთ მუტა მიწას თუ არ მიაყრი და ლოცვებს არ წაიპუტუნებ? თებეს ქურუმების ლოცვა მაინც არ მოგისმენია? არ გინახავს, ეს ბებერი, ყველასაგან დავიწყებული მსახურები წესს როგორ უგებენ მიცვალებულს, სიჩქარისაგან როგორ ყლაპავენ სიტყვებს, რათა სადილობამდე კიდევ ერთი დამარხევა მოასწრონ?


**ანტიგონე.** ჰო, მინახავს.

**კრეონტი.** თუკი გინახავს, ნუთუ ერთხელ მაინც არ ვიფიქრია, რას იზამდი მათი სიყალბის შემყურე, კუბოში შენ-თვის ნამდვილად ძვირფასი ადამიანი რომ წოლი-ლიყო. მაშინ ხომ ვერ მოითმენდი, პირში ეცემოდი, დაიფრენდი.

**ანტიგონე.** ჰო, ამაზეც მიფიქრია.

**კრეონტი.** და მაინც სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ავკრძალე არ წარმოეთქვათ შენი ძმის ცხედართან უაზრო სიტყვები, არ გაემართათ კამბაზური მანჭვა-გრეხა, რისაც ყველაზე მეტად შენ

შეგრცხვებოდა და გულიც ყველაზე მეტად შენ გეტ-  
კინებოდა... ეს ხომ მართლაც სისულელეა.



ანტიგონე. პო, სისულელე!

კრეონტი. მაშ, ვიღას გინდა აჩვენო შენი ასეთი ჰკეტილშო  
ბილება! იმათ, ვისაც ამ ადათ-წესებისა სჯერა? ისი-  
ნიც რომ ამიჯანყო?

ანტიგონე. არა.

კრეონტი. ესე იგი, არც იმათვის და არც ძმისთვის? მაშ,  
ვისი გულისთვის აკეთებ ამას?

ანტიგონე. არავის გულისთვის. მხოლოდ ჩემთვის.

კრეონტი (უხმოდ შესცეკრის). მაშასადამე სიკვდილი მოგ-  
დომებია. შენ ახლა მახეში გაბმულ თრითინასავით  
საცოდავი ხარ.

ანტიგონე. არ არის საჭირო ჩემი შეცოდება, ჩემსავით მოიქე-  
ცით. გააკეთეთ ის, რაც გევალებათ. მაგრამ თუ  
თქვენ ადამიანობაც გაქვთ, ნუდა აყოვნებთ. მეტს  
არაფერს გთხოვთ. ჩემი მამაცობა დიდხანს კი არ  
მეყოფა.

კრეონტი (უახლოვდება). მე შენი გადარჩენა მინდა, ანტი-  
გონე.

ანტიგონე. თქვენ მეფე ხართ, ყოვლის შემძლე, მაგრამ ეს კი  
არ შეგიძლიათ.

კრეონტი. შენ ასე გვინია?

ანტიგონე. თქვენ ვერც გადამარჩენთ და ვერც ვერაფერს მაი-  
ძულებთ.

კრეონტი. რამოდენა სიამაყეა შენში, პატარა ოიდიპოს!

ანტიგონე. თქვენ მხოლოდ ჩემი დასჯა შეგიძლიათ.

კრეონტი. მაგრამ თუ ვუბრძანე, რომ გაწამონ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რისთვის? იმიტომ რომ ავტირდე, შეგეხვეწოთ, შემიბრალეთ, რასაც მიბრძანებთ, შევასრულებ-მეთქი. მერე კი, როცა ტკივილი გამიფლის, ყველაზერთისევ თავიდან დავიწყო?

კ რ ე ო ნ ტ ი (ხელს უჭერს). მომისმინე! თავისთავად ცხადია, ჩემი მდგომარეობა ხელსაყრელი არ არის. და უპირატესობაც შენს მხარეზეა. შენ ეს კარგად გესმის. მაგრამ ბოროტად ნუ ისარგებლებ ამით, საძაგელო გოგოვ! მე რომ ჩვეულებრივი მკაცრი ტირანი ვიყო, კარგა ხანია ენა უკვე ამოგლევილი გექნებოდა, შენს სხეულს გავარგარებული შანთებით დაგლევდნენ, ანდა ჯურლმულში გამოგამწყვდევდნენ. მაგრამ მატყობ, რომ ვყოყმანობ, ლაპარაკის ნებასაც გაძლიერდა არც ჯარისკაცებს ვეძახი. ამიტომაც დამცინი, მასხრად მიგდებ, რამდენადაც შეგიძლია. რა გინდა მაინც რას გინდა მიაღწიო, პატარა ფერიავ?!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ხელი გამიშვით, მტკივა!

კ რ ე ო ნ ტ ი (უფრო მაგრად უჭერს ხელს). მერე რა, მე შენზე ღონიერი ვარ და ვსარგებლობ ჩემი უპირატესობით.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ვაი!

კ რ ე ო ნ ტ ი (თვალებში სიცილის ნაპერწკალი უელავს). შეიძლება ჯობდა სწორედ ამით დამეწყო — გადამეგრიხა შენთვის ხელი ან თმით მეთრიე, როგორ უზრდელ გოგოს ეკადრება! (თვალს არ აშორებს მაგრამ ახლა უფრო სერიოზულია, ახლოს მოჰყავს) მე, როგორც ცნობილია, შენი ბიძა ვარ, მაგრამ ჩემი ოჯახში გულჩვილობა არ არის მიღებული. ნუკუცნაურად არ გეჩვენება, რომ მეფეს, შენ რომ დას

ცინი, ასე გისმენს. რომ ეს ყოვლისშემძლე მოზუდი  
რომელსაც ბევრის სიკვდილი უნახავს და განუცდია,  
ყოველნაირად ცდილობს, სიკვდილს გადატარჩინოს? — ი  
ა ნ ტ ი გ ო ნ ე (პაუზის მერე). თქვენ ისე მაგრად მომატებული ხელი  
ლი, რომ უკვე გამიშვმდა და აღარ მტკივა.

კ რ ე ო ნ ტ ი (ჩაიცინებს და ხელს გაუშვებს. ჩურჩულებს). მხო-  
ლოდ ღმერთებმა იციან რამდენი საქმე მაქვს მე  
დღეს. მაგრამ მაინც ვკარგავ დროს იმისათვის, რათა  
როგორმე გადაგარჩინო, უვარგისო ბავშვო. (ძალით  
სვამს სკამზე.) აჯანყების ჩახშობის მეორე დღეს საქ-  
მე ყელამდეა, გარწმუნებ, მაგრამ საქმე მოიცდის,  
რაც უნდა სასწრაფო იყოს. მე არ შემიძლია დავუშვა,  
რომ შენ პოლიტიკური კინკლაობის მსხვერპლი გახ-  
დე. შენ უკეთესი ხვედრის ლირი ხარ. იცოდე შენი  
პოლინიკე, აჩრდილი, რომელსაც შენ დასტირი, ეს  
ჩაფრებით გარშემორტყმული გახრწნილი გვამი და  
ეს ტრაგიკული სისულელე, რომელმაც შენ აღგა-  
ფრთვანა, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკაა, მეტო  
არაფერი. მე სრულებითაც არ ვარ გულჩილი, მაგ-  
რამ მიყვარს როცა ყველაფერი ნათელია. შენ გგო-  
ნია, მე არ მეზიზღება ის ლეში მზეზე რომ ლპება?  
გგონია, მარტო შენ გაწუხებს მისი სუნი? საღამო-  
ობით, როცა ქარი ზღვიდან უბერავს, ყროლის სუ-  
ნი უკვე სასახლემდე აღწევს, გული მერევა, მაგრამ  
ფანჯრების დახურვის ნებას მაინც არ ვაძლევ. გამო-  
გიტყდები, ეს საძაგლობაა, სიბრიყვე, სიმზეცეც  
კი, მაგრამ აუცილებელია! თებემ უნდა ისუნთქოს ამ  
მყრალი ჰაერით. შენ, აღბათ გესმის, რომ მე გარგა

ხნის წინათ დავამარხვინებდი შენს ძმას, მხოლოდ  
ქალაქის სისუფთავეზე რომ ვზრუნავდე. მაგრამ ნა-  
ხირი, რომელსაც მე ვმწყემსავ, ყველაფერს უამშენე-  
ლომდე ჩაწვდეს, გვამის სუნმა ერთია თვეშ მიახნეა-  
და მოწამლოს ქალაქის პატი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. თქვენ მე მძულხართ!

კ რ ე ო ნ ტ ი. რას იზამ, ასეთია ჩემი ხელობა. შეიძლება იმაზე  
იგამათო, ღირს თუ არა ხელი მოპკიდოს კაცმა ასეთ  
საქმეს, მაგრამ თუკი ხელს მოპკიდებ, მაშინ მხოლოდ  
ასე უნდა მოიქცე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რატომ ითავეთ ასეთი საქმე?

კ რ ე ო ნ ტ ი. ერთ დილით მე თებეს მეფედ გამეღვიძა. თუმცა,  
ღმერთმა იცის, ყველაზე ნაკლებად ამქვეყნად სწო-  
რედ ძალაუფლება მიზიდავდა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. უარი უნდა გეთქვათ.

კ რ ე ო ნ ტ ი. მე შემეძლო უარი მეთქვა, მაგრამ უცებ თავი მუ-  
შად ვიგრძენი, სამუშაოდან თავის დაძვრენას რომ  
ცდილობს, ეს კი უსინდისობად ჩავთვალე და დაფ-  
თანხმდი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მით უარესი თქვენთვის. მე არ დავთანხმდები. რა  
მესაქმება თქვენს პოლიტიკასთან. თქვენს გასაჭირ-  
თან, თქვენს საქმეებთან. მე ჯერ კიდევ შემიძლია  
უარი ვთქვა. უარი ვუთხრა ყველაფერს, რაც არ  
მომწონს. ჩემი თავის მსაჯული მე თვითონა ვარ.  
თქვენ კი თქვენი ბრწყინვალებით არაფერი არ შე-  
გიძლიათ გააკეთოთ, იმიტომ რომ დათანხმდით.  
თქვენ მარტო ჩემი დასჯა შეგიძლიათ.

კ რ ე ო ნ ტ ი. მომისმინე!

ანტიგონე. მე შემიძლია არც მოგისმინოთ, თუ არ მინდა  
თქვენ დაეთანხმეთ. ამიტომ ჩემს მასწავლებლად ათ  
გამოდგებით, თქვენგან ვერაფერს ვისწავლი. აი,  
თქვენ ხარბად მისმენთ. თუ ჩაფრებს პრეზენტი,  
მხოლოდ იმიტომ რომ ბოლომდე გინდათ მომისმი-  
ნოთ.

კრეონტი. შენ მე მართობ!

ანტიგონე. არა, მე თქვენ გაშინებთ! აი, რატომ ცდილობთ ჩემს  
გადარჩენას. თქვენთვის ხომ გაცილებით ხელსაყრე-  
ლია, რომ პატარა უთქმელი ანტიგონე, რომელსაც  
თქვენ სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, სასახლეში დარჩეს.  
თქვენ ზედმეტი მგრძნობიარობა გიშლით ხელს, რომ  
ნამდგილი ტირანი გახდეთ. ეს არის და ეს! და  
მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც მოგიშვეთ  
ჩემი დასჯა. თქვენ ეს კარგად იცით და ამიტომაც  
გეშინიათ... რა საზიზღარია მამაკაცი, როცა რაღა-  
ცის ეშინია!

კრეონტი (ყრუდ). ჰო, მე მართლა მეშინია, რომ იძულებული  
ვიქნები დაგსაჯო, თუკი ძალიან გაჯიუტდები. მე კი  
არ მინდა.

ანტიგონე. მე ვერავინ გამაკეთებინებს იმას, რაც არ მინდა.  
შეიძლება თქვენ არც კი გინდოდათ დაუმარხავად  
დაგეგდოთ ჩემი ძმის ცხელარი, ხომ ასეა?

კრეონტი. მე უკვე გითხარი.

ანტიგონე. და მაინც სხვანაირად მოიქეცით. ახლა კი, თუმცა  
ჩემი დასჯა არ გინდათ, მაინც უბრძანებთ, რომ  
დამსაჯონ. ამას ეძახით თქვენ მეფობას?

კრეონტი. სავსებით მართალი ხარ.

4. უან ანუი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. საცოდავო კრეონტ! თუმცა ხელებზე ნაბორვილარი  
მეტყობა და შიშისაგან გული მიმდის, მაინც მე  
ვმეფობ და არა შენ!

კ რ ე ო ნ ტ ი. მაშინ შემიბრალე! შენი ძმის ცხოვარების მეტაზონ-  
რების წინ რომ ლპება, საკმარისი საფასურია თებე-  
ში წესრიგის აღსადგენად, ჩემს შვილს შენ უყვარ-  
ხარ. ნუ მაიძულებ, რომ შენი თავიც მსხვერპლად  
გავიღო. კმარა ამდენი მსხვერპლი!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. თქვენ, რადგან ერთხელ უკვე დათანხმდით, მსხვერ-  
პლის გაღებაც განუწყვეტლივ მოგიწევთ.

კ რ ე ო ნ ტ ი (ანჯღრევს. ბრაზით). ო, ღმერთო! შეეცადე გამიგო,  
სულელო! მე ხომ შენს გაგებას მართლა ვცდი-  
ლობდი. საჭიროა, ვიღაცა რომ დათანხმდეს. სა-  
ჭიროა, ვინმე რომ იდგეს საჭესთან, ხომალდში  
წყალი შედის. დანაშაული, სიმდაბლე და გაჭირება  
ხომალდის ტვირთი. მას კი აღარავინ მართავს.  
მეზღვაურებს იმის მაგივრად, რომ რამე გააკეთონ,  
გემის გაძარცვაზე უჭირავთ თვალი. მეთაურები კი  
უკვე ტივს პერავენ და სასმელი წყლის მთელი მა-  
რაგი ტივზე გადააქვთ. ანდა ირყევა, ქარი იალქნებს  
ნაფლეთებად გლეჯს და ყველანი დაიღუპებიან,  
რადგან უკვე პირუტყვებად იქცნენ და მხოლოდ  
თავის გადარჩენაზე ფიქრობენ, თავიანთი ძვირფასი  
სიცოცხლის და პირადი პატაწინა საქმეების გადარ-  
ჩენაზე. მითხარი, გეთაყვა, განა ახლა დახვეწილ  
ქცევებზე ფიქრის დროა? განა ახლა იმის დროა,  
რომ იყოყმანო, დათანხმდე თუ არა? ანდა იმაზე  
იფიქრო, რომ ბოლოს ყველაფერზე მარტო შენ უნდა

აგო პასუხი და კიდევ იმაზე, შეძლებ თუ არა ბო-  
ლომდე ადამიანად დარჩენას? სად არის ამის დრო!  
უნდა აიღო პირველივე ხელში მოხვედრილი ფუტკრის ॥  
ნატეხი, რომ როგორმე შეაჩერო წყალჭ. ॥ ცოშავდედმის ॥ უ-  
გამოგლეჯილ გედელში რომ მოთქრიალებს. უნდა  
ბრძანება იბრავლო და ტყვია დაუშინო ბრძოს, უნ-  
და ესროლო პირველსავეს, წინ ვინც მოძვრება, რად-  
გან დრო არა გაქვს გაარჩიო, ვის ესროლო და ვის  
არა. ტალღები უკვე გემბანზე იმსხვრევიან, ქარი  
სახეში გცემს და კაცს, შენ რომ ტყვია ესროლე,  
სახელი არა აქვს. შეიძლება იგი სწორედ ის კაცია,  
გუშინ რომ გაგიღიმა და პაპიროსი მოგიკიდა. მაგ-  
რამ მას უკვე სახელი აღარა აქვს. აღარც შენა გაქვს  
სახელი, გამწარებული რომ ჩაფრენილხარ საჭეს.  
არის მხოლოდ ხომალდი და ქარიშხალი. გესმის თუ  
არა ეს შენ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. არც მინდა, რომ მესმოდეს. ეს თქვენი საქმეა. მე  
კი გავჩინდი იმიტომ, რომ თქვენ უარი გითხრათ  
და მოვკვდე.

კ რ ე ო ნ ტ ი. უარის თქმა ადვილია.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ყოველთვის არა.

კ რ ე ო ნ ტ ი. რომ დათანხმდე, საჭიროა სახელოები დაიკაპიტო  
და იმუშაო, სანამ ქანცი არ გაგძვრება. უარის თქმა  
გაცილებით ადვილია მაშინაც კი, როცა სიკვდილი  
გემუქრება, რადგან ისღა დაგრჩენია, გულხელი დაი-  
კრიფო და სიკვდილს დაელოდო. ელოდო და იცხო-  
ვრო, სანამ მოგკლავდნენ. აშკარა სულმდაბლობაა!  
ყველაფერი ეს ადამიანების მოგონილია. შევიძლია

წარმოიდგინო ტყე, სადაც ხეები უარს ამბობდნენ  
მიწიდან საზრდოს შესრუტვაზე? ან ცხოველები სი-  
ყვარულის ინსტინქტს რომ ეწინაღმდევებოდნენ,  
ანდა ნადირობის ინსტინქტს. მხეცჭი, თავმცა დაუმ-  
დობლები არიან, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ამდენი  
ეშმაკობა არ გააჩინიათ. ისინი თამამად მისდევენ  
ერთმანეთს ერთსა და იმავე გზაზე და თუ ერთი  
ეცემა, მეორე შეჰყვება გზას და რამდენიც არ უნდა  
დაიხოცოს, ჯიშის გამგრძელებელი ყოველთვის რჩე-  
ბა, რათა გაზარდოს შთამომავლობა და ისიც უშიშ-  
რად გაუყვეს იმ გზას, რომელზედაც მის წინაპრებს  
უვლიათ.

**ა ნ ტ ი გ ო ნ ე.** ეტყობა, მეფე ცხოველებზე ოცნებობს, რადგან მათი  
მართვა გაცილებით ადვილია.

პაუზა.

**პ რ ე ო ნ ტ ი.** მე შენ გეზიზლები. ხომ ასეა? (ანტიგონე არ პასუ-  
ხობს. განაგრძობს, თითქოს ხმადაბლა ფიქრობსო.)  
საინტერესოა! მე ხშირად წარმომიდგენია ჩემი საუ-  
ბარი იმ ფერმკრთალ ჭაბუკთან, რომელსაც მოსა-  
კლავად მომიგზავნიდნენ და დაკითხვის დროს მხო-  
ლოდ ზიზღით მიპასუხებდა. მაგრამ რას წარმო-  
ვიდგენდი, რომ ასეთი ლაპარაკი შენთან მომიხდე-  
ბოდა და ისიც ასეთი სულელური რამის გამო. (სა-  
ხეზე ხელებს იფარებს. ეტყობა, ძალა ნელ-ნელა  
ეცლება.) უკანასკნელად მომისმინე. ჩემი როლი  
ადვილი არ არის, მაგრამ ჩემ გარდა მას ვერავინ  
შეასრულებს. ამიტომ მე ვუპირძანებ, რომ დაგსაჯონ.

მაგრამ მანამდე მინდა გაიგო, რისთვისაც კვდები.  
ანტიგონე, შენ ნამდვილად იცი რისი გულისტვისაც  
კვდები? იცი რა ამაზრზენ ამბავში ჩაუწერა „სამუ-  
დამოდ შენი სახელი შენივე სისხლით?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რომელ ამბავში?


კ რ ე თ ნ ტ ი. შენი ძმების ეთეოკლესა და პოლინიკეს ამბავში.  
შენ გვინია, რომ ყველაფერი იცი, მაგრამ ცდები.  
ის კი არა, სიმართლე მთელ თებეში მარტო მე  
ვიცი. თუმცა, მე მგონია, დროა, შენც გაიგო. ო, ამ  
ამბავში არაფერია მომხიბლავი. თავად დარწმუნდე-  
ბი. (განაგრძობს ყრუდ, ანტიგონეს აღარ უყურებს.)  
აბა, მითხარი რა დაგამახსოვრდა შენი ძმებისაგან?  
მათ, რა თქმა უნდა, შენთან ყოფნას ერთმანეთთან  
თამაში ერჩიათ. უფრო მეტიც — სათამაშოებს გიმ-  
ტვრევდნენ და განუწყვეტლივ ჩურჩულებდნენ თა-  
ვიანთ საქმეებზე, შენ რომ გაებრაზებინეთ...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მაგრამ ისინი ხომ ჩემზე უფროსები იყვნენ?

კ რ ე თ ნ ტ ი. შენ აღფრთოვანებული იყავი, როცა მათ პაპიროსის  
წევა დაიწყეს და პირველად ჩაიცვეს გრძელი შარვ-  
ლები. მერე კი ღამლამობით სადღაც იკარგებოდნენ,  
უცებ დაკაცდნენ და შენ სრულებითაც აღარ გაქცევ-  
დნენ ყურადღებას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე ხომ გოგო ვიყავი.

კ რ ე თ ნ ტ ი. შენ ხედავდი, როგორ ტიროდა დედა, როგორ ბრა-  
ზობდა მამაშენი, გესმოდა, როგორ აჯახუნებდნენ  
კარს გამთენისას დაბრუნებული ძმები, როგორ  
იცინოდნენ დერეფანში და შენ ზედაც არ გიყურებ-  
დნენ ღვინის სუნით აყროლებული, უნებისყოფო ქი-  
ლიკები.



ანტიგონე. ერთ დილას კარს უკან დავიმალე. ყველანი შევე  
ფეხზე ვიყავით, ძმები კი სწორედ მაშინ, დაბრუნდ-  
ნენ. პოლინიკემ დამინახა. ფერი დაკარგვოდა და  
თვალები უბრწყინავდა. ლამაზი იყო. შენ აქა ხა-  
რო? — მითხრა და ქაღალდის ყვავილი მაჩქა.  
ალბათ იქიდან წამოიღო, სადაც დამე გაათია.

გრეონტი. შენ, რასაკვირველია, ყვავილი შეინახე. გუშინ კი  
სანამ ძმის დასამარხავად წახვიდოდი, იმ ყვავილს  
დიდხანს უყურებდი, რათა სითამამე შეგმატებოდა.  
ხომ სწორეა?

ანტიგონე (შეკრთება). თქვენ საიდან იცით?

გრეონტი. საბრალო ანტიგონე! ქაღალდის ყვავილს ინახავს...  
კი მაგრამ, იცი ვინ იყო შენი ძმა?

ანტიგონე. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემს ძმაზე კარგს  
არაფერს მეტყვით.

გრეონტი. არარაობა, ლოთი, უქნარა, ყალთაბანდი, დუქნების  
ხიზანი და ეტლების მოტრფიალე. ის კი არა, ჩემი  
თვალით ვნახე, როგორ მოუქნია ხელი მამაშენს, ჩემს  
წაგებულ ფულს რატომ არ იხდიო. ერთი მაგრადაც  
შეაგინა.

ანტიგონე. ტყუილია!

გრეონტი. საწყალ მამაშენს მუშტი სახეში თხლიშა. უნდა გე-  
ნახა, რა საცოდავი შესახედი იყო ოიდიპოსი! მაგი-  
დას მიუჯდა, სახე ხელებში ჩამალა და ატირდა.  
ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. პოლინიკე კი კაბი-  
ნეტის კუთხეში აიტუზა და დამცინავად იღიმე-  
ბოდა.

ანტიგონე (თითქმის თხოვნით). ტყუილია!

კრეონტი. აბა, გაიხსენე! შენ მაშინ თორმეტი წლისა იყავი. მერე პოლინიკე დიდხანს აღარ გამოჩენილა. ზომ  
მართალია?

ანტიკრეონ. ჰო, მართალია.

კრეონტი. ალბათ გაინტერესებს, რა მოხდა ამ ჩხუბის მერე. მამაშენს არ უნდოდა შვილი რომ გაესამართლებინათ და პოლინიკე არგოსელთა ჯარში ჩაეწერა. და როგორც კი არგოსში ჩავიდა, მამამისის წინააღმდეგ მაშინვე ბრძოლა გააჩაღა, ამ ბებერმა ან ტახტი დამითმოს, ანდა ჩაძალლდესო, ასე ამბობდა. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვიჭერდით კაცებს, მამაშენის მოკვლა რომ უნდოდათ. მერე ისინი ამბობდნენ, პოლინიკემ დაგვიქირავაო. სხვათა შორის, პოლინიკე ამ საქმეში მარტო არ იყო. რადგან შენ დიდი სურვილი გაქვს, როგორმე მონაწილეობა მიიღო ამ დრამაში, მე მინდა ყველაფერი იცოდე, რაც კი კულისებში ხდებოდა, მინდა იცოდე, რომელ სამზარეულოში ითითხნებოდა ყველაფერი ეს. გუშინ მე ეთეოკლეს დიდი პატივით დაკრძალვა ვბრძანე. ეთეოკლე ახლა თებეს გმირია, წმინდანი. უამრავი ხალხი მოგროვდა. მოწაფეები კაპიტს კაპიკშე აწებებდნენ, რათა მისთვის გვირგვინები ეყიდათ. ვითომ დამწუხრებული მოხუცები ხმის კანკალით ადიდებდნენ შენს ძმას, ნამდვილ მეფეს, ოიდიპოსის ერთგულ შვილს. მეც წარმოვთქვი სიტყვა. პროცესიაში თებეს ყველა ქურუმი მონაწილეობდა, საგანგებოდ მორთული და მოკაზმული. ეთეოკლე მხედრული პატივითაც დაასაფლავეს... გვერდი ვერც ამას ავუარეთ.

მე არ მქონდა ისეთი ფუფუნების უფლება, რომ  
ყველა პარტიაში თითო პირწავარლნილი არამშეადა  
მყოლოდა, მაგრამ ახლა ისეთ რამეც „გეტეგენ“ წატა  
მხოლოდ მე ვიცი, საშინელ რამეს გეტყვი: შენი ძმა  
ეთეოკლე, სათნოების სვეტად რომ აღიარეს, სრუ-  
ლებითაც არ იყო პოლინიკეზე უკეთესი. ეს სამაგა-  
ლითო შვილიც ბევრჯერ ცდილობდა მამის მოქვ-  
ლას, ეს ღმობიერი მმართველიც ყოველთვის მზად  
იყო თებე იმისთვის მიყყიდა, ვინც მეტს მისცემდა.  
სასაცილოა არა? მე ამის დამამტკიცებელი საბუთიცა  
მაქვს, რომ ეთეოკლე, რომლის ცხედარიც ახლა მარ-  
მარილოს აკლდამაში განისცენებს, ისეთსავე ღალატს  
აპირებდა, რისთვისაც დაისაჯა პოლინიკე, პაპანაქე-  
ბა სიცხეში რომ იხრწნება ახლა. მხოლოდ შემთხვე-  
ვით დაასწრო პოლინიკემ ძმას. ისინი ბაზრის თაღ-  
ლითებივით იქცეოდნენ: ერთმანეთსაც ატყუებდნენ  
და ჩვენც. დაბოლოს, ერთმანეთს ანგარიშიც ქურდ-  
ბაცაცებივით გაუსწორეს. მე კი მდგომარეობამ მაი-  
ძულა, ერთი მათგანი გმირად მეღიარებინა და  
მკვდრების ზვინებში მათი გვამების მოძებნა ვგრძა-  
ნე. შენი ძმები, აღბათ პირველად თავიანთ ცხოვ-  
რებაში, ჩახუტებულები იწვენენ. მათ ერთმანეთი  
მახვილებით განგმირეს, მერე კი მათი გვამები არ-  
გოსელთა ეტლებმა გადათელეს. სისხლის ფაფად  
იყვნენ ქცეულნი, ვერც გაარჩევდი, რომელი იყო პო-  
ლინიკე და რომელი ეთეოკლე. მე იმ გვამის წამო-  
ღება ვგრძანე, შედარებით ნაკლებად რომ იყო დასა-  
ხიჩრებული და ზარზეიმით დავაკრძალვინე, მეორე

გვამი კი იქვე დავატოვებინე, სადაც ეგლო. მე ისიც  
კი არ ვიცი, რომელი დავმარხეთ. და თუ დამიჯგუფი  
რებ, ჩემთვის ეს სულ ერთია!

ტესტის დარღვევა

ხანგრძლივი სიჩუმე. ორივენი უძრავად სხედან და  
ერთმანეთს შესცერან.

ან ტიგონე (რბილად). რატომ მომიყევით?  
კრეონტი (დგება). განა უკეთესი იყო, რომ არაფერი გცოდა-  
ნოდა?

ან ტიგონე. შეიძლება უკეთესიც იყო. ადრე მე მწამდა.

ისევ სიჩუმე.

კრეონტი (უახლოვდება). ახლა რას იზამ?

ან ტიგონე (მძინარესავით დგება). წავალ ჩემს ოთახში.

კრეონტი. მარტო არ დარჩე, პემონი ნახე დღესვე, ნულა გადა-  
დებთ ქორწილს.

ან ტიგონე (ამოიოხრებს). კარგი.

კრეონტი. მთელი ცხოვრება ჯერ წინ არის. რატომ მაკამათებ.  
შენ ხომ ფასდაუდებელი საგანძურის მფლობელი  
ხარ.

ან ტიგონე. ჰო!

კრეონტი. დანარჩენი არც ღირს რამედ. შენ კი აპირებდი,  
უარი გეთქვა ამ საგანძურზე. თუმცა შენიც მესმის,  
თვითონაც, ალბათ, ზუსტად ასე მოვიქცეოდი ოცი  
წლისა რომ ვიყო. აი, რატომ გისმენდი ასეთი ყუ-  
რადლებით. სულ მეგონა, ჭაბუკი კრეონტი მელაპა-

რაკებოდა. გამხდარი და ფერმქრთალი, თავის გაწირვაზე მეოცნებე... ჩქარა გათხოვდა, ანტიგრუნტ, და იყავი ბედნიერი! ცხოვრება ისეთი მართის; როგორიც შენ გვინია. სანამ ახალგაზრდა ხარ, ის თითებს შორის წყალივით იპარება, შენ კი ვერ ამჩნევ. სასწრაფოდ შეკარი პეშვი, არ გაუშვა, შეაჩერე! და მაშინ ნახავ, როგორ იქცევა ის თხილივით პატარა, მარტივ და მკვრივ საგნად, რომელიც შეგიძლია უდარდელად აკატუნო მზეს მიფიცხებულმა, ისინი, ვისაც შენი სულის ძლიერება და შენი დაუდგრომლობა სჭირდება, საწინააღმდეგოს გეტყვიან. არ დაუჯერო მათ. არც მე მომისმინო, როცა მორიგ სიტყვას წარმოვთქვამ ეთეოკლეს აკლდამასთან. ყველაფერი ტყუილია. სიმართლე მხოლოდ ის არის, რაზედაც არ ლაპარაკობენ. შენ ამას მერე მიხვდები. ცხოვრება საყვარელი წიგნია, შენს ფეხებთან მოთამაშე ბავშვია, ხელში ჩაბლუჯული იარაღია, ანდა სახლის წინ ბაღში ჩადგმული სკამია, რომელზედაც საღამოობით ისვენებენ ხოლმე. შენ კიდევ დიდხანს გეწნება ჩემი სიძულვილი, მაგრამ როდისმე გაიგებ, რომ ცხოვრება ბოლოს და ბოლოს ბედნიერებაა და ეს იქნება შენი სიბერის სევდიანი ნუგეში.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ჩურჩულებს, დაბნეული იყურება აქეთ-იქით). ბედნიერება?

ა რ ე ო ნ ტ ი (თითქოს უცბად შერცხვაო). აი, ხომ ხედავ, არაფერი არ ყოფილა!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (მშვიდად). როგორი იქნება ჩემი ბედნიერება? ნუთუ პატარა ანტიგონე ბედნიერ ქალად გადაიქცევა?



რანაირი უსინდისობის ჩადენა მოუწევს მას ყოველ  
დღე, რათა თავისი ნამცეცი ბედნიერება მოიპოვოს უნდა  
ვინ უნდა მოატყუოს, ვის უნდა გაულიმოს, ვის უნდა  
მიჰყიდოს თავისი თავი? ვის სიკვდილს უნდა შეხვ-  
დეს გულგრილად?

(მხრებს იჩეჩავს). გაგიუდი?! გაჩუმდი!

ანტიგონე. არა, არ გავჩერდები! მე მინდა გავიგო, რა უნდა  
გაფაკეთო იმისათვის, რომ ბედნიერი ვიყო? ახლავე  
მინდა გავიგო, რადგან ახლავე უნდა ამოვირჩიო.  
თქვენ ამბობთ, რომ ცხოვრება მშვენიერიაო. აი,  
მეც მინდა გავიგო, რა უნდა ვიკისრო, რომ მშვე-  
ნიერად ვიცხოვრო?

შენ პემონი გიყვარს?

პო, მიყვარს. მე მიყვარს ჩემი მოღუშული პემონი,  
ჩემსავით მომთხოვნი და ერთგული. მაგრამ თუკი მას  
აიძულებენ, რომ თქვენისთანა გახდეს, თქვენზე  
უარესიც, თუკი იცხოვრებს თქვენი ცხოვრებით და  
დაკმაყოფილდება თქვენი ბედნიერებით, თუკი აღარ  
გაფითოდება, როდესაც მე ფერს დავკარგავ, თუკი  
არ იფიქრებს, ანტიგონე ალბათ მოკვდება ხუთი წუ-  
თით რომ დავიგვიანო, თუკი არ შემიძულებს და  
თავს უბედურად არ ჩათვლის, როდესაც ვერ მიხვ-  
დება რატომ ვიცინი, თუკი ჩემ გვერდით გადაიცე-  
ვა ბატონ პემონად, თუკი იმასაც მოუხდება დაივიწ-  
ყოს რას ნიშნავს უარი — მაშინ მე ის არ მიყვარს.

შენ თვითონ არ იცი რას ამბობ, გაჩუმდი!

ანტიგონე. არა, მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. აი, თქვენ კი  
ყურს არ მიგდებთ. მე თქვენგან ძალიან შორსა

გარ იმ სამეფოში, სადაც თქვენ თქვენი ნაოჭებით,  
თქვენი სიბრძნითა და თქვენი ღიშით უკმა უძლა  
შეაღწევთ. (იცინის.) კრეონტ, უცური! წარმოებდ-  
გინე, როგორი იქნებოდი თხუთმეტი წლისა და იმი-  
ტომ გამეცინა. ალბათ მაშინაც ასეთივე უმწეო  
იქნებოდი, მაგრამ შენს ყოვლისშემძლეობაში დაჯე-  
რებული. ცხოვრებას არაფერი შეუცვლია, ოღონდ  
ნაოჭები მოგემატა და კიდევ ქონის ფენა.

**კრეონტი** (ანჯლრევს). გაჩუმდები თუ არა?!

**ანტიგონე.** რატომ გინდა, რომ გამაჩუმო? მართალი რომ ვარ  
იმიტომ? თვალებზე გეტყობა იცი, რომ მართალი  
ვარ, მაგრამ აღიარება გიჭირს და უკვე მზად ხარ  
დაიცვა შენი ბედნიერება, როგორც ძალმა გამო-  
ხრული ძვალი.

**კრეონტი** ჩემი და შენი ბედნიერება, სულელო!

**ანტიგონე.** ო, როგორი საზიულრები ხართ ყველანი მაგ თქვე-  
ნი ბედნიერებით, თქვენი ცხოვრებით, იძულებული  
რომ ხარ გიყვარდეს რანაირიც არ უნდა იყოს იგო-  
ძალებს გავხართ, ისინიც ხომ ყველაფერს ლოგავენ,  
რაც კი შესვდებათ. თუ ძალიან მომთხოვნი არ იქ-  
ნები, შეიძლება გაინაღდო ყოველდღიური პაწაწინა  
ბედნიერება! არა, მე ყველაფერი მინდა, თანაც  
ახლავე! მინდა ჩემი ბედნიერება ან მთლიანად იყოს,  
ანდა სრულებითაც არ მინდა იგი. მე არ მინდა ვი-  
ყო მორიდებული, დამჯერი და მოწყალება ვიმყო-  
ფინო. მე სწორედ ისეთი ბედნიერება მინდა, რო-  
მელზედაც ბავშვობიდანვე ვოცნებობდი, თუ არადა,  
დაე, მოვკვდე!

- კრეონ ნტი. გააგრძელე, გააგრძელე! ზუსტად მამაშენიფით ლა-  
პარაკობ!
- ანტიგონე. ჰო, ზუსტად მამაჩემივით! ჩვენც იმათ რიცხვს ვწერ-  
კუთვნით, ვისაც ყველაფერი აინტერესებს და მო-  
ქშინია იმისი მაშინაც კი, როცა იმედის ნატამალიც  
კი აღარ არსებობს, იმედისა, ჯერ კიდევ რომ ფეთ-  
ქავს, რადგან ბოლომდე არ დაუღრჩიათ.
- კრეონ ნტი. გაჩერდი! ერთი შეგახედა, რას დაემსგავსე!
- ანტიგონე. ჰო, მე უშნო ვარ. უშნოა ჩემი ქცევაც. ჩემი ყვირი-  
ლიც. მამაჩემიც მხოლოდ იმის შემდეგ გალამაზდა,  
როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ის იყო მამის  
მკვლელი. როცა დარწმუნდა, რომ საკუთარ დედას-  
თან იწვა და როდესაც გაიგო, რომ ამქვეყნად აღა-  
რაფერი აღარ უშველიდა. მაშინ ის დამშვიდდა.  
სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გადაეფინა და გა-  
ლამაზდა. ყველაფერი გათავდა და მასაც ისღა დარ-  
ჩა თვალები თავის ხელით დაეთხარა, რათა თქვენ-  
თვის აღარასოდეს აღარ შეეხედა. ეჭ, თქვენ უბად-  
რუკებო, თქვენ გინდათ ბედნიერება? აი, თქვენ კი  
ნამდვილად მახინჯები ხართ. თქვენ შორის ყველაზე  
ლამაზიც კი ნამდვილად მახინჯია. თქვენი ცქერაცა  
და ღიმილიც ამაზრზენია. კარგად თქვი, სამზარეუ-  
ლო, სადაც ყველაფერი ეს ითითხნებაო. უბრალოდ,  
თქვენ ცუდი მზარეულები ხართ!
- კრეონ ნტი. (ხელს უგრიხავს). გიბრძანებ გაჩერდი, გესმის?!
- ანტიგონე. შენ მე მიბრძანებ, მზარეულო? შენ გვონია, შეგიძ-  
ლია მე მიბრძანო?
- კრეონ ნტი. დერეფანი ხალხითაა სავსე, გაიგონებენ, დაიღუ-  
პები!

- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. კარი გააღე! მეც სწორედ ეგ მინდა, რომ ყველაზე  
გაიგოს!
- კ რ ე ო ნ ტ ი (ცდილობს პირი დაუმუშავოს). ღმერთში წერილები  
თუ არა ბოლოს და ბოლოს?
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ხელიდან უსხლტება). იჩქარე, მზარეულო! დაუძახ  
შენს ჩაფრებს!

კარი იღება. შემოდის ისმენე.

- ი ს მ ე ნ ე (ყვირის). ანტიგონე!
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. შენ რაღა გინდა?
- ი ს მ ე ნ ე. მაპატიე, ანტიგონე, ხომ ხედავ, მოვედი, აღარ მე-  
შინია. მეც შენთან ერთად წამოვალ.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. სად?
- ი ს მ ე ნ ე (კრეონტს). თუკი თქვენ ამას დასჯით, მაშინ ჩემი  
დასჯაც მოგიწევთ!
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. არა, ახლა არა! ახლა მე მოკვედები მხოლოდ! ერთ  
წუთითაც არ იფიქრო, რომ ჩვენ ერთად უნდა მოვ-  
ქვდეთ. ეს ადვილია!
- ი ს მ ე ნ ე. შენ თუ მოკვდები, აღარც მე მინდა სიცოცხლე უშე-  
ნოდ.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. შენ უკვე აირჩიე სიცოცხლე, მე კი — სიკვდილი  
ასე თუ გინდოდა, წუხელ უნდა წასულიყავი იქ-  
უნდა გეხოხა, მუხლები და იდაყვები გადაგეყვლიფა-  
ფრჩხილებით უნდა მოგეთხარა მიწა ჩაფრები  
ცხვირწინ, სანამ არ შეგიპყრობდნენ, როგორც ქურდ  
ბაცაცას.
- ი ს მ ე ნ ე. მაშინ მე ხვალ წავალ, იქ!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. გესმის, კრეონტ! ესეც! ვინ იცის იქნებ ჩემს მაგა-  
ლითს სხვებმაც მიბაძონ, როცა ჩემს სიტყვებს გი-  
გებენ. ჰა, გამაჩუმე, დაუძახე შენს ჩაფრებულ ფრა-  
კრეონტ, გამაგრდი, მართალია, უსიამთვნო — იქნების კუ-  
მაგრამ მხოლოდ წუთით, ერთი წუთით. აბა, მზა-  
რეულო! ეს ხომ აუცილებელია!

კ რ ე ო ნ ტ ი (ყვირის). ჩაფრები! ჩეარა!

ჩაფრები იმწამსვე გაჩინდებიან.

კ რ ე ო ნ ტ ი. წაიყვანეთ!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (შვებით ამოისუნთქავს). მადლობა ღმერთს!

ჩაფრები შემოეხვევიან და გაიყვანენ.  
ი ს მ ე ნ ე (ყვირილით გამოუკიდება). ანტიგონე! ანტიგონე!

კრეონტი მარტო რჩება. შემოდის ქორო. უახლოვდება  
კრეონტს.

ქ თ რ თ. გაგიუდი, კრეონტ! ეს რა ჩაიდინე?

კ რ ე ო ნ ტ ი (სადღაც სივრცეში იხედება). იმას სიკვდილი ეწერა!  
ქ თ რ თ. არ მოკლა ანტიგონე, კრეონტ! მისი სიკვდილი სა-  
ნანებლად გაგვიხდება ყველას, საუკუნეების მან-  
ძილზე.

კ რ ე ო ნ ტ ი. მას თვითონ უნდოდა სიკვდილი! და ჩვენ ყველანი  
უმწეონი ვიყავით გვეიძულებინა ეცოცხლა, ანტიგონე  
გაჩენილი იყო იმიტომ, რომ ასე მოკვდარიყო.  
შეიძლება თვითონაც არ იცოდა ეს. პოლინიკე მხო-

ლოდ მიზეზია. პოლინიკუ რომ არ ყოფილიყო ის  
სხვა მიზეზს გამოძებნიდა. მისთვის მთავარი იყო  
ეთქვა „არა“ და მომკვდარიყო. მაგრამ ის ჯერ კიდევ ბავშვია, კრეონტ! პირული მოვიქცე?  
ქორონტი. კი მაგრამ, როგორ მოვიქცე? სიცოცხლე მივუსაჯო?

შემოღის ჰემონი.

- ჰემონი (ყვირის). მამა!
- კრეონტი. (გულში იკრავს). დაივიწყე, ჰემონ, დაივიწყე, ჩემო  
ბიჭუნავ!
- ჰემონი. შენ გაგიუდი, მამაჩემო, ხელი გამიშვი!
- კრეონტი (კიდევ უფრო მაგრად ეხვევა). მე ყველაფერი გავა-  
კეთე მის გადასარჩენად, ჰემონ, რაც კი შემეძლო,  
გეფიცები! მას შენ არ უყვარხარ, თორემ არ მოინ-  
დომებდა სიკვდილს. მაგრამ მან არ უღალატა თავის  
გიურ განზრახვას და სიკვდილი ამჯობინა.
- ჰემონი (ყვირის, ცდილობს დაუსხლტეს). გესმის, უკვე მიჰ-  
ყავთ. არ დაანებო მათ ანტიგონე, მამა, არ და-  
ანებო!
- კრეონტი. მან ყველაფერი თქვა. უკვე მთელმა თებემ გაიგო,  
რაც ჩაიდინა. და მეც იძულებული ვარ დავსაჯო.
- ჰემონი (როგორც იქნა დაუსხლტა). გამიშვი!

სიჩუმე. ერთმანეთს შესცემიან.

- ქორონტი (მათ უახლოვდება). არ შეიძლება რამე მოვიფიქ-  
როთ, ან გიუად გამოვაცხადოთ, ანდა ციხეში ჩაგა-  
მწყვდიოთ?

- კრეონტი. არ შეიძლება. ხალხი მაშინვე იტყვის, ტყუილია, მოიგონესო. მისი შვილის საცოლეა და იმიტომ გადაარჩინაო. არ შემიძლია.
- ქორო. ან იქნებ დრო გავიყვანოთ და მერე სალტერნატივის როთ.
- კრეონტი. ბრძომ ყველაფერი იცის და უკვე სასახლის წინ ყაყანებს. არ შემიძლია.
- ჰემონი. რას ნიშნავს ბრძო, მამაჩემო? შენ ხომ მბრძანებელი ხარ?
- კრეონტი. მბრძანებელი ვარ კანონის გამოცემამდე. მერე კი კანონის მონა ცხდები.
- ჰემონი. მე ხომ შენი შვილი ვარ, დაგავიწყდა? ნუ წამართმევ ანტიგონეს.
- კრეონტი. არა, ჰემონ, არა, ჩემო ბიჭუნა. გამაგრდი! ანტიგონეს უკვე ცხოვრება აღარ შეუძლია, მან უკვე დაგზტოვა ჩვენ.
- ჰემონი. ნუთუ გგონია, რომ მე შემიძლია უიმისოდ ცხოვრება? ან იქნებ გგონია, რომ თქვენსავით ვიცხოვრებ? ის თუ გვერდით არ მეყოლება, ერთი წამითაც ვერ ავიტან თქვენს ამაო ფუსფუსს და თქვენს ყალბსიტყვებს.
- კრეონტი. და მაინც შენ მოგიხდება შეურიგდე ამას, ჰემონ. თითოეულ ჩვენთაგანს ადრე თუ გვიან დავაუკაცება უწერია. შენთვის ის დღე ახლა დადგა. და აი, შენც, ჩემო ბიჭო, უკანასკნელად დგახარ ჩემ წინ თვალცრემლიანი და ტკივილით გულშეკუმშული, მაგრამ როგორც კი მოტრიალდები, როგორც კი კარს გაიხურავ, ყველაფერი გათავდება.

- პ ე მ ო ნ ი** (ოდნავ უკან იხევს. ჩუმად). ჩემთვის ყველაფერი  
 უკვე გათავდა.
- კ რ ე ო ნ ტ ი.** ნუ გამკიცხავ, პემონ. შენ მაინც არ გამკიცხო...  
**პ ე მ ო ნ ი** (აკვირდება, გაოცებული). ნუთუ შენ უფავი ისუ ჭლევა-  
 მოსილი ღმერთი, მამაცობისა და ძლიერების განსა-  
 ხიერება, მე რომ ჯოჯოებისა და აჩრდილებისაგან  
 მიცარავდი? ნუთუ შენ მათგალიერებინებდი წიგ-  
 ნებს შენს ოთახში სანთლის შუქზე?
- კ რ ე ო ნ ტ ი** (მორჩილად). პო, პემონ!
- პ ე მ ო ნ ი** (უცემ ბავშვივით შეპყვირებს, მკერდში ჩაეკვრება).  
 მამა, ეს ტყუილია, ეს შენ არ ხარ, ეს დღეს არ მოხ-  
 დება! მე და შენ ჯერ არ მივსულვართ, არ მივდგო-  
 მივართ იმ კედელს, სადაც მხოლოდ „პოს“ თქმა  
 შეიძლება. შენ ჯერ კიდევ ყოვლის შემძლე ხარ,  
 როგორც ჩემს ბავშვობაში. გემუდარები, მამაჩემო,  
 მოიქეცი ისე, რომ კვლავ აღტაცებული ვიყო შენით!  
 მე ხომ მთლად მარტო დაგრჩები და ქვეყანა უდაბ-  
 ნოდ იქცევა, თუკი შენით ვეღარ ვიამაყებ.
- კ რ ე ო ნ ტ ი** (იშორებს). ჩვენ ყველანი მარტონი ვართ, პემონ,  
 ქვეყანა უდაბნოა. შენ ზედმეტად დიდხანს იყავი  
 ჩემით აღტაცებული. შემზედე. დამაკვირდი. დაგაუ-  
 კაცება სწორედ ამას ნიშნავს, თვალი გაუსწორო  
 მამას.
- პ ე მ ო ნ ი** (უყურებს. მერე ყვირილით იხევს უკან). ანტიგონე!  
 ანტიგონე! გვიშველეთ! (გარბის.)
- ქ ო ო ო** (კრეონტს). კრეონტ, ის გიუივით გაიქცა.
- კ რ ე ო ნ ტ ი** (ერთ წერტილს მისჩერებია). პო. საცოდავი ბიჭი.  
 მას ანტიგონე უყვარს!

- ქორო. კრეონტი, ასე არ შეიძლება, რაღაც უნდა მოვიფი ქროთ.
- გრეონტი. მე უძლური ვარ.
- ქორო. ის სასიკვდილოდაა დაჭრილი.
- გრეონტი (ყრუდ). პო. ჩვენ ყველანი სასიკვდილოდ ვართ დაჭრილი.

შემოდის ანტიგონე, რომელსაც ჩაფრები უბიძგებენ. ჩაფრები კარს ხელით იჭერენ. კარს იქით ხალხის ხმაური ისმის.

- ჩაფარი. ბატონო, ხალხი სასახლეში შემოიჭრა.
- ანტიგონე. კრეონტი, მე არ მინდა მათი სახეების დანახვა, მათი ყვირილის მოსმენა. და საერთოდ არავის ნახვა აღარ მინდა. დაე, მომკლან, მაგრამ ეს ისე გააკეთე, რომ მე არავინ აღარ დავინახო, სანამ ყველაფერი არ გათავდება.
- გრეონტი (უყვირის ჩაფრებს). ჩაკეტეთ ჭიშკარი! გარევეთ ხალხი! (ჩაფარს.) შენ კი ამათთან დარჩი! (გადის.)

ორი ჩაფარი გადის, მერე ქოროც. ანტიგონე და ჩაფარი რჩებიან. ანტიგონე ჩაფარს უყურებს.

ანტიგონე. ა, ეს შენა ხარ?

ჩაფარი. ვინა?

ანტიგონე. უკანასკნელი ადამიანი, რომლის სახესაც მე ვხედავ.

ჩაფარი. აღბათ!

ანტიგონე. მოიცა, კარგად შეგხედო!

- ჩ ა ფ ა რ ი (სახეს არიდებს, უხერხულად). მიყურვ რა!
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. შენ დამიჭირე, არა?
- ჩ ა ფ ა რ ი. პო, მე.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე შენ ხელი მატკინე. ეს კი სრულქმითაც ას ჯერად დებოდა, განა მე გაქცევას ვცდილობდი?
- ჩ ა ფ ა რ ი. კარგი, კარგი, გეყოფა, აბა, რა მექნა, ჩემ მაგივრად თქვენ აგებდით პასუხს?
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რამდენი წლისა ხარ?
- ჩ ა ფ ა რ ი. ოცდაცხრამეტის.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ბავშვები გყავს?
- ჩ ა ფ ა რ ი. ორი.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. გიყვარს?
- ჩ ა ფ ა რ ი. თქვენი საქმე არ არის! (ბოლთას სცემს ცოტა ხანს მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა ისმის.)
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე (გაუბედავად). თქვენ დიდი ხანია ჩაფარი ხართ?
- ჩ ა ფ ა რ ი. რაც ომი გათავდა. ჯარში სერუანტი ვიყავი, მერე აქ გავაგრძელე.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ეს თანამდებობა რომ მოიპოვო, უსათუოდ სერუანტი უნდა იყო?
- ჩ ა ფ ა რ ი. საერთოდ პო. ან არადა განსაკუთრებულ ოცეულში უნდა მსახურობდე. ჩაფარი რომ გახდები, სერუანტის წოდებას კარგავ. მაგალითად, ქუჩაში რიგითი ჯარისკაცი ვალდებული არ არის მომესალმოს.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. უყურე შენ?!
- ჩ ა ფ ა რ ი. მავრამ ისინი ჩვეულებრივად მესალმებიან ხოლმე. მათ იციან, რომ ჩაფარი მათზე უფროსია. რაც შეეხება ჯამაგირს, ჩვენ ჩაფრები, იმდენსავეს ვიღებთ, რამდენსაც განსაკუთრებული ოცეულის ჯარისკაცები.

ამის გარდა ყოველ ქაში თვეში ფულად ჯილდოს ვიღებთ. ესეც ჯამაგირს ემატება. ჩაფრობა სხვანად — რადაცაა ხელსაყრელი, ბინა, გათბობა, შენსი. მოლოო ჯამში, ჩაფარი მაინც უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე სერუანტი ჯარში.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რას მეუბნები?!

ჩ ა ფ ა რ ი. დიახ, ამით აიხსნება სწორედ ჩვენი და სერუანტების მტრობა, შემიძლება შეგიმჩნევიათ კიდეც, რომ სერუანტები ჩვენდამი სიძულვილს არც კი მაღავენ. მაგრამ ჩვენთან შედარებით, ისინი უფრო სწრაფად იმატებენ ჩინს. ერთი მხრივ, ეს სამართლიანიც არის. ჩვენთან კი დაწინაურება უფრო ნელა ხდება, ვიდრე ჯარში, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ჩვენი ეფრეოტორი იმათ უფროს სერუანტზე, გაცილებით მაღლა დგას...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (აწყვეტინებს). მომისმინე...

ჩ ა ფ ა რ ი. რა იყო?


ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე ახლა მოგვედები.

ჩაფარი არ პასუხობს. ისევ ბოლთას სცემს. ცოტა ხნის მერე განაგრძობს.

ჩ ა ფ ა რ ი. მეორე მხრივ, ჩაფრების მდგომარეობა ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე არმიელი სერუანტებისა. ჩაფარი ჯარისკაცია, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო სამსახურშიც არის...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. როგორ გვინაა, სიკვდილი მტკიფნეულია?

ჩ ა ფ ა რ ი. არ შემიძლია გიპასუხოთ. ომში, ვინც მუცელში იყო

დაჭრილი, მაგრად წვალობდნენ, მე კი არც ერთხელ  
არ დაჭრილვარ. ერთი მხრივ, ამანაც შემძლალა სე-  
ლი ჩინის მომატებაში... 

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ჩემთვის როგორი სიკვდილი აირჩიეს?

ჩ ა ფ ა რ ი. არ ვიცი. თითქოს ლაპარაკობდნენ, რომ თქვენი სი-  
სხლით ქალაქის წაბილწვა არ შეიძლებაო და ამი-  
ტომ ცოცხლად დამარხავენო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ცოცხლად?

ჩ ა ფ ა რ ი. ჰო.

დუმილი. ჩაფარი საღეპ თუთუნს იმზალებს.


ა ნ ტ ი გ ო ნ ე. ო, ჩემო სამარევ! ო, საქორწილო სარეცელო! ო,  
მიწისქვეშა საყანო! (იბუზება. ძალიან პატარა  
უზარმაზარ ოთახში, თითქოს სცივაო.) მარტო, სულ  
მთლად მარტო...

ჩ ა ფ ა რ ი (იდებს თუთუნს პირში). ჰადესის გამოქვაბულში  
გამოგვამწყვდევენ. ქალაქის ჭიშკართან. აი, იქ არის  
სიცხე თუ არის. იქ ყარაულში ჩემი მტერი გაჩერ-  
და, ერთ საათსაც ვერ გაძლებენ. ჯერ უნდოდათ ჯა-  
რისკაცები დაეგზავნათ, მაგრამ ყური მოვგარი, მაინც  
ჩვენ დაგვაყენებენ. იმიტომ რომ ჩვენ უფრო ამტანე-  
ბი ვართ. არც არის საკვირველი, რომ ზოგიერთი  
ჩაფარი შერით უყურებს არმიელ სერუანტს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ჩურჩულებს დაქანცული ხმით). პირუტყვები...

ჩ ა ფ ა რ ი. რა-ა? ჩვენა ვართ პირუტყვები?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე. პირუტყვებიც კი ერთმანეთს მიეკვრობიან ხოლმე  
გასათბობად. მე კი სულ მთლად მარტო ვიქნები.



- ჩ ა ფ ა რ ი. პო. ეს სხვა საქმეა. თქვენ რამე თუ გჭირდებათ, მე  
შემიძლია მსახურს დავუძახო.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. მე მინდა, რომ ჩემი სიკვდილის მერე ჰქონდა და დამიანს.
- ჩ ა ფ ა რ ი რომელი წერილი?
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. რომელსაც მე დაგწერ.
- ჩ ა ფ ა რ ი არა, გენაცვალე! ეგ არ გამოვა! რა მოინდომა? წე-  
რილიო! ასეთი თამაში მე ძვირი დამიჯდება!
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. თუ თანახმა იქნები, ამ ბეჭედს მოგცემ.
- ჩ ა ფ ა რ ი. ოქროსია?
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე. პო, ოქროსია.
- ჩ ა ფ ა რ ი. გაიგეთ, მე რომ გამჩხრიკონ, სამხედრო სასამართ-  
ლოს ვერ გადავრჩები. თუმცა თქვენ რა გენაღვლე-  
ბათ. (ბეჭედს ათვალიერებს.) რაღან თქვენ ასე  
მთხოვთ, მე მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შემიძ-  
ლია, თქვენ მიკარნახეთ, მე კი ჩემს უბის წიგნაკში  
ჩავიწერ. მერე ამ ფურცელს ამოვხევ. სხვანაირად არ  
შეიძლება, თქვენი ხელი ხომ ჩემსას არ პავს.
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე (ჩურჩულებს თვალდახუჭული, მწარედ იღიმება).  
შენი ხელი... (შეკრთება.) რა საძაგლობაა. რა სა-  
ძაგლობაა ყველაფერი!..
- ჩ ა ფ ა რ ი (ნაწყენი, ისე აჩვენებს, თითქოს ბეჭედს უბრუნებს).  
აჲა, რახან არ გინდათ...
- ა ნ ტ ი გ ო ნ ე (აჩქარდება). კარგი, წაიღე ბეჭედი და დაწერე.  
მხოლოდ ჩქარა! მეშინია, ვერ მოვასწრებთ. წერე:  
ძვირფასო...
- ჩ ა ფ ა რ ი (იღებს უბის წიგნაკს, ფანქრის წვერს ენით ასვე-  
ლბეს). შენს ბიჭს უგზავნი?

- ანტიგონე. ჩემო ძვირფასო, გადავწყვიტე, მოვკვდე და შენ  
 შეიძლება როდისმე გადამიყვარო...  
 ჩაფარი (ნელა იმეორებს თავისი უხეში ნმათ, „იწერს“) კა, ზე-  
 მო ძვირფასო, გადავწყვიტე, მოვკვდე და შენ შეიძ-  
 ლება როდისმე გადამიყვარო...
- ანტიგონე. კრეონტი მართალი იყო. რა საშინელებაა! ახლა მე  
 ამ კაცის გვერდით უკვე აღარ ვიცი, რისთვის ვკვდე-  
 ბი, მეშინია...
- ჩაფარი (უჭირს კარნაზით წერა). „კრეონტი მართალი იყო,  
 რა საშინელებაა...“
- ანტიგონე. ჰემონ! ჩვენი ბიჭი რომ აღარ გაჩნდება? მხოლოდ  
 ახლა მივჩვდი, რა ადვილი იყო მეცხოვრა...
- ჩაფარი (შეწყვეტს წერას). მოიცადეთ, ძალიან ჩქარობთ,  
 თანაც გინდათ ყველაფერი ჩავწერო. ცოტა ნელა არ  
 შეიძლება?
- ანტიგონე. რაზე გავჩერდით?
- ჩაფარი. „ეს საშინელებაა. ახლა ამ კაცის გვერდით...“
- ანტიგონე. აღარ ვიცი თუ რისთვის ვკვდები.
- ჩაფარი (ფანქარს ენით ასველებს, წერს). „აღარ ვიცი თუ  
 რისთვის ვკვდები... არავინ არ იცის თუ რისთვის  
 მოკვდება“.
- ანტიგონე (განაგრძობს). მეშინია... (ჩერდება. წელში იმარ-  
 თება.) არა, წაშალე რაც დაწერე და არავინ არასო-  
 დეს არაფერი არ გაიგოს. ეს იგივეა, რომ ჩემი გვამი  
 გაშიშვლებული ნახონ. დაწერე მხოლოდ: მაპატი!
- ჩაფარი. ესე იგი, ბოლო წავშალო და მის მაგიგრად დავწე-  
 რო „მაპატიე“?
- ანტიგონე. ჰო, მაპატიე, ძვირფასო. პატარა ანტიგონე რომ



არა, თქვენ ალბათ ყველანი მშვიდად იცხოვრებდით  
მე შენ მიყვარხარ...

რა მოგვიანები

ჩაფარი. „პატარა ანტიგონე რომ არა, თქვენ ალბათ ყველანი მშვიდად იცხოვრებდით. მე შენ მიყვარხარ... მორჩა?“

ანტიგონე. ჰო!

ჩაფარი. მაზალო წერილია.

ანტიგონე. ჰო!

ჩაფარი. კი მაგრამ, ვის გადავცე?

ამ დროს კარი იღება და შემოდიან დანარჩენი ჩაფრები.  
ანტიგონე დგება, მათ უყურებს. მერე პირველ ჩაფარზე  
გადაიტანი მზერას. ის მშვიდად იდებს ჭიბეში ბეჭედს  
და უბის წიგნაქს. როცა ანტიგონეს თვალებს შეეფეოება,  
სხვების მოსაჩვენებლად ყვირის.

ჩაფარი. აბა, აბა, ჭიკიანად!

ანტიგონე მწარედ იღიმება. თავს ხრის და დანარჩენ ჩაფ-  
რებთან ერთად გადის ყველანი გადიან შემოდის ქორო.

ქორო. მაშ ასე, ანტიგონეს ამბავი გათავდა! ახლა კრეონ-  
ტის ჯერია.

შემორბის მაცნე.

მაცნე (ყვირის). დედოფალი! სად არის დედოფალი!

დედოფალი რად გინდა? რა უნდა უთხრა?

საშინელი ამბავი. ეს-ეს არის ანტიგონე ჯურლმულ-  
ში ჩააგდეს. ბოლო ქვის დადება ვერც კი მოასწრეს,  
რომ კრეონტს და აგრეთვე სხვებსაც, ვინც კი იქ  
იდგა, კვნესა შემოქმდათ. ყველანი გაჩუმდნენ და ყუ-  
რი მიუგდეს, რადგან ანტიგონეს ხმას არ ჰგავდა.  
ღრმა სამარიდან სხვისი ხმა ისმოდა. ყველამ კრე-

ონტს შეხედა. ის კი პირველი მიხვდა და შეშლილივით დაიყვირა: ქვები მოაშორეთ!, მონებულებებს ეცნენ და მათთან ერთად მეფემჲცი დაიწყო, ქვების გადაყრა. ოფლში გაიღვარა, ხელები დაუსისხლიანდა. როგორც იქნა სამარხს ქვები მოაშორეს, ბოლო ქება სამარტი ჩავარდა და ჩვენ დავინახეთ თავის ჭრელ ქამარზე ჩამომხრჩვალი ანტიგონე. წითელი, ლურჯი და მწვანე ძაფები სათამაშო მძივებივით მოჩანდა მის ყელზე. ჰემონი კი მის წინ დაჩოქილიყო, მუხლებზე მოხვეოდა და ქვითინებდა, ანტიგონეს კაბის ნაოჭებში სახეჩამალული. კიდევ ერთი ლოდი გადასწიეს და ახლა კრეონტს უკვე შეეძლო ჯურლმულში ჩასულიყო, და სადღაც, ქვემოთ, ბნელში გამოჩანდა მისი ჭალარა თავი. ის ჯერ ხვეწნა-მუდარით შეეცადა ჰემონის წამოყენებას, მაგრამ ჰემონს არ ესმოდა. უცებ ჰემონი წამოვარდა და შავთვალა პატარა ბიჭივით, როგორიც ის ოდესღაც იყო, ჩუმად შეაჩერდა მამამისს. მერე კი მოულოდნელად სახეში შეაფურთხა და მახვილი იშიშვლა. კრეონტი კედელს მიაწყდა. ხოლო ჰემონმა სიძულვილით დამძიმებული და მახვილივით ბასრი მზერა მიაბჯინა კრეონტს და ადგილზე გააშეშა. ცოტა ხანს ასე უცქირა კედელზე აკრულ აცახცახებულ ბებერს, მერე მახვილით გული განიგმირა და ანტიგონეს ჩაეხვია. ქამარმა ვეღარ გაუძლო მათ სიმძიმეს და ახლა ისინი ჩახუტებულები წვანან სისხლის გუბეში.

შემოდის კრეონტი პატარა მსახურთან ერთად.

კრეონტი. მე ვბრძანე, ისინი ერთმანეთის გვერდით დაესვენებინათ. ისინი განპანეს და ახლა ოდნავ ფურშეცვლილები მშვიდად წვანნ, როგორც ახლოდ დაქორწიული წინებულები პირველი ღამის მერე... მათვის ყველაფერი დამთავრდა.

ქორო. მაგრამ შენთვის არა, კრეონტ! შენ კიდევ რაღაცის გაგება მოგიწევს. ევრიდიკე, დედოფალი, შენი მეუღლე...

კრეონტი. სულ ბაღში ფუსფუსებს, ან მურაბას ხარშავს, ან თბილ პერანგებს ქსოვს ღარიბებისთვის... საკვირველია, მაინც რამდენი პერანგი სჭირდებათ ღარიბებს, თითქოს მეტი არაფერი არ უნდოდეთ.

ქორო. ამ ზამთარს თებეს ღატაკებს ძალიან შესცივდებათ, კრეონტ! შვილის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, დედოფალი მაშინაც ქსოვდა. მან ჩაათავა რიგი და მშვიდად და აუჩქარებლად, როგორც მას საერთოდ ჩვეოდა, ჩხირები გვერდზე გადადო და სუმბულის სურნელით გაუღენთილ, მოქარგული ხელსახოცებითა და ხავერდის ბალიშებით მორთულ თავის ოთასში შევიდა, რათა იქ ყელი გამოეჭრა. კრეონტ, ის ახლა წევს თქვენს ძველებურ საწოლზე, სწორედ იმ საწოლზე, სადაც შენ ის პირველად იხილე ერთხელ საღამოთი, ჯერ კიდევ სრულებით ნორჩი გოგონა. იგი ახლაც გაღიმებული წევს, მაგრამ მისი ღიმილი ახლა ოდნავ უფრო სევდიანია, ბალიშზე რომ სისტლის დიდი ლაქა არ იყოს, იტყოდი, ჩასძინებიაო...

კრეონტი. ისიც... ყველას სძინავს. მით უკეთესი. ძალიან მძი-

მე დღე იყო. (პაუზა. აგრძელებს ყრუდ.) ჭარგვი იქ-  
ნება ალბათ მარადიული ძილი.

ქორო. და შენ ახლა სულ მარტო ხარ, კრეონტესი იყო  
კრეონტი. პო, სულ მარტო!

დუმილი.

- კრეონტი (მხარზე ხელს ადებს მსახურს). ბიჭუნა...  
მსახური. რა იყო, ბატონო?
- კრეონტი. აი, რას გეტყვი... სხვებმა არ იციან. როცა სამუ-  
შაო გაქვს, არ შეიძლება გულხელდაკრეფილი იჯდე-  
ისინი ამბობენ, რომ ეს ბინძური სამუშაოა. მაგრამ  
შენ მაგივრად სხვა რომ არავინ გააკეთებს?
- მსახური. არ ვიცი, ბატონო.
- კრეონტი. რა თქმა უნდა, არ იცი, შენდა საბედნიეროდ. კარ-  
გი იქნებოდა, თუკი არასდროს არაფერი არ გეცო-  
დინებოდა. შენ ალბათ ერთი სული გაქვს, როდის  
გავიზრდებიო?
- მსახური. ო, რა თქმა უნდა, ბატონო!
- კრეონტი. სულელო! უმჯობესი იქნება თუკი არასოდეს არ გა-  
იზრდები! (შორს ისმის საათის ხმა. ჩურჩულებს.)  
ხუთი საათია. რა გაქვს დანიშნული ხუთი საათისა-  
თვის?
- მსახური. საბჭოს სხდომა, ბატონო.
- კრეონტი. რა გაეწყობა, რახან საბჭო მოწვეულია, ჩემო შიჭუ-  
ნავ, ჩვენც იქ უნდა წავიდეთ.

(ისინი გადიან. კრეონტი მსახურის მხარს ეყრდ-  
ნობა.)

(გამოდის ავანსცენაზე). გათავდა. მართლაც პატარა  
ანტიგონეს გარეშე, ყველანი გაცილებით შშვიდად  
იცხოვრებდნენ. მაგრამ უკვე ყველაფერი გათავდა,  
თუმცა ყველანი მაინც შშვიდად არიან. ჟინც უნდა  
მომკვდარიყვნენ, მოკვდნენ: ისინიც, რომლებსაც  
რაღაც სწამდათ და ისინიც, ვინც მათ საწინააღმდე-  
გოს ფიქრობდნენ და ისინიც კი, ვისაც საერთოდ  
არაფერი არ სწამდათ და ამ ამბავში შემთხვევით  
მოხვდნენ და მისი ვერაფერი ვერ გაიგეს. ყველა  
მჯვდარი ერთნაირია, ის არავის არ სჭირდება და გა-  
შეშებული ლპება. ხოლო ცოცხლები თანდათან დაი-  
ვიწყებენ მკვდრებს და შეიძლება, მალე მათი სახე-  
ლებიც კი აერიოთ. ყველაფერი გათავდა: ანტიგო-  
ნემ სიმშვიდე მოიპოვა და აღარაფერი აღარ აწუ-  
ხებს. მან უკანასკნელი ვალი მოიხადა. სევდიანი  
დუმილი გამეფდა თებეშიც და დაცარიალებულ სა-  
სახლეშიც, სადაც კრეონტი სიკვდილისთვის მოე-  
შზადება...

(სანამ ქორო ლაპარაკობს, შემოდიან ჩაფრები. ისი-  
ნი სხდებიან, გვერდით იდგამენ ღვინით სავსე მა-  
თარებს, ქუდებს კეფაზე მოიგდებენ და იწყებენ  
ბანქოს თამაშს.) დარჩნენ მხოლოდ ყველაფრისადმი  
გულგრილი ჩაფრები. ეს ამბავი მათ არ ეხებათ.  
ისინი ბანქოს თამაშს აგრძელებენ.

ჩაფრები თამაშით არიან გართულნი.



Жан Ануи

**АНТИГОНА**

(На грузинском языке)

Театральное Общество Грузии

Издательство «Хеловнеба»

Тбилиси, пр. Плеханова, 179

1972



რედაქტორი ნ. გურაბანიძე  
მხატვარი ჭ. კაპანაძე  
მხატვრული რედაქტორი ლ. ლვინგილია  
ტექნიკური რედაქტორი. შ. ლეზავა  
კორექტორი ე. ნადარეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. VI. 72 წ.  
ქაღალდის ზომა  $70 \times 108^{1/32}$ .  
ნაბეჭდი თაბაზი 3,5  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 2,28  
ტირაჟი 4.000 შეკვ. № 257  
ფასი 28 კაპ.

გამომცემლობა „ხელოვნება“  
თბილისი, პლეხანოვის 179.  
1972



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
შეტყვითი სიტყვის სახელმწიფო კომი-  
ტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის  
სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიქიძის  
ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома  
Госкомитета Совета Министров Груз.  
ССР по печати. Тбилиси, ул.  
Орджоникидзе № 50.

კარლაგვერის ეროვნული ბიბლიოთეკა



040326040  
ცისქონის  
ბიბლიოთეკა

K 41.263/2